დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი

წევრები:

ელისო შურღაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
თამარი ოღლიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
თინათინ ნანობაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
რუსუდან ნიპარიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ეკატერინე ხუცოშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ლია ნადირაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	237101961

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკი
ფაქტობრივი მისამართი	დაბა ურეკი, თაყაიშვილის ქუჩა #54
საფოსტო ინდექსი	3500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/579
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ureki@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599922408

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	12/06/2025 წ. ბრძანება MES 9 25 0000660825	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17,18 ივლისი, 2025 წ.	

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკი. თაყაიშვილის ქუჩა N54 ერთი შენობა. სოფელი წვერმაღალა. ერთი შენობა.
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკი თაყაიშვილის ქუჩა N54. ერთი შენობა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკი. თაყაიშვილის ქუჩა N54. ერთი შენობა.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ-ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 12/06/2025წ. ბრძანება MES 9 25 0000660825 საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ა.წ. 17 და 18 ივლისს განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლაში. სკოლას აქვს ორი შენობა. მათგან ერთი მდებარეობს დაბა ურეკში და მეორე სოფელ წვერმაღალაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან სსიპ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლის შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს. ადგილზე ჩატარდა ინტერვიუირება სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან. ინტერვიუირებისას ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მოეპოვებინათ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც დაეხმარა განეხორციელებინათ შეფასება ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში.
სკოლამ ვიზიტის ფარგლებში გამოხატა განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ღონისძიებები	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 450	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.09.2025-20.10.2025წ.) სკოლამ უზრუნველყოს ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობის საკვანძო კომპონენტებთან შესაბამისობაში მოყვანა.
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025–07.08.2026) სკოლამ უზრუნველყოს დაწყებით კლასებში, კანონმდებლობით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის დანიშვნა.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ	შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025-07.08.2027 წწ.) სკოლამ უზრუნველყოს: ა.სოფელ წვერმაღალაში არსებული სკოლის შენობის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვა; ბ. შენობების ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება; გ.უფლებამოსილ ორგანოსთან /პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025-07.08.2026წ.) სკოლამ უზრუნველყოს: ა. სოფელ წვერმაღალაში მდებარე სკოლის შენობაში ექიმის/ექთნის დასაქმება; ბ.კანონმდებლობით ნებადართული/ განსაზღვრული მედიკამენტების შესყიდვა.
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.09.2025-20.09.2025წ.) სკოლამ უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე დასაქმებულებისგან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით თანხმობის მოპოვება
ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025-07.08.2026 წ.) სკოლამ უზრუნველყოს დაბა ურეკში მდებარე სკოლის შენობისათვის საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განახლება, მასში სკოლის საკუთრებაში არსებული შენობის დაფიქსირებით და დაზუსტებული ფართის მითითებით.
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025-07.08.2027 წწ) სკოლამ უზრუნველყოს სოფელ წვერმაღალაში მდებარე სკოლის შენობაში რესურსოთახის, პანდუსისა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა.

ინდიკატორი N3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025–07.08.2026) სკოლამ უზრუნველყოს, მისივე შიდამარეგულირებელი ნორმით, საქმისწარმოების წესით, განსაზღვრული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალების წარმოების დაწყება და წარმოების უწყვეტი გაგრძელება.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი N4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.09.2025-10.09.2025წ) უზრუნველყოს მისსავე მარეგულირებელ ნორმაში (მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი) მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვის ასაკთან დაკავშირებული ჩანაწერის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *დაწყებითი საფეხური*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025–07.08.2026) სკოლამ უზრუნველყოს დაწყებით კლასებში, კანონმდებლობით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის დანიშვნა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო	სასურველია სკოლამ გამოკითხვის პროცესში ჩართოს არა მარტო მასწავლებლები, არამედ სკოლაში დასაქმებული ყველა პირი.

	საზოგადოების ჩართულობით	
ინდიკატორი **N1.2.1.2**	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლის სტრატეგიული მიზნის „სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება“ ერთ-ერთი ამოცანაა სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა, სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს, რომ ამოცანათა ერთობლიობა უნდა ემსახურებოდეს მიზნის მიღწევას და შესაბამისად მიზნისა და ამოცანის ფორმულირება უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სასურველია სკოლის სტრუქტურის სქემატურ გამოსახულებაში გამოიკვეთოს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის უშუალო ხელმძღვანელი.
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	ა.სასურველია მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლისაგან განსხვავებულ პოზიციაზე პირის დირექტორის მიერ, პროფესიული კომპეტენციისა და დასაკავებელი პოზიციის სპეციფიკის გათვალისწინებით გასაუბრების საფუძველზე დანიშვნის პრაქტიკა აისახოს სკოლის შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში. ბ.სასურველია სკოლის შინაგანაწესის მე-10 თავში, შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე კანდიდატის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტების ნუსხას, დაემატოს ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკის, კანონმდებლობისა და სკოლის რეგულაციის შესაბამისობას.
ინდიკატორი N3.1.2.6	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	სასურელია სკოლამ გაწეროს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკაში არსებული/გამოყენებული მექანიზმები რადგან ეს ხელს შეუწყობს პერსონალის ეფექტურად მართვას, აამაღლებს დასაქმებულთა მოტივაციას და ხელს შეუწყობს თანამშრომლობას. რაც დადებითად აისახება სკოლის განვითარებაზე.
ინდიკატორი N3.2.1.1	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დასაქმებულის (არა მასწავლებლის) შეფასების კრიტერიუმები.
ინდიკატორი	სკოლა უზრუნველყოფს	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს თანამშრომელთა ადაპტაციის უფრო

N3.2.1.4.	თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	დეტალური პროგრამა.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	ა.სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ბ.სასურველია სკოლამ უზრუნვლყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის გადამზადება
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული	სასურველია დაწესებულებამ საჯარო რეესტრის ამონაწერში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანებასა და შემოსავლების სამსახურის საგადასახადო რეგისტრაციის ინფორმაციაში დაფიქსირებული განსხავებები სკოლის მისამართთან დაკავშირებით მოიყვანოს შესაბამისობაში

	რაოდენობის გათვალისწინებით	
ინდიკატორი N3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლის საქმისწარმოების დოკუმენტზე მითითებულია 2024-2025 წელი. სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს, რომ საქმისწარმოების მარეგულირებელი დოკუმენტი არ გამოიცემა და არ მოქმედებს სასწავლო წლის ვადით და მიუთითოს მხოლოდ მისი გამოცემის წელი.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N.4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა	სასურველია, რომ სკოლამ შეაფასოს საკუთარი საჭიროებები და არსებული პრაქტიკები, გააანალიზოს არსებული ჩარჩო რეგულაცია და ამის საფუძველზე შექმნას ისეთი დოკუმენტი, რომელიც რეალურად მოერგება და გააუმჯობესებს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმებს. დაწვრილებით იხ. ინდიკატორის აღწერა
ინდიკატორი N4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სასურველია, სკოლამ მოსწავლის ჩარიცხის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესიდან ამოიღოს ყველა ისეთი ჩანაწერი, რომელიც ეხება მხოლოდ კერძო სკოლების პრაქტიკას და არ არის შესაბამისი საჯარო სკოლისთვის.
ინდიკატორი N4.2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	სასურველია, სკოლამ დეტალურად განსაზღვროს სსსმ მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირების პროცედურები და მათი პირველადი მართვის მექანიზმები. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების დროულად გამოვლენასა და ეფექტიან საპასუხო ღონისძიებების გატარებას.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი*	*რჩევა*

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	
ინდიკატორი N **2.1.1.1**	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინტერესების გასათვალისწინებად გამოყენებული იქნას გამოკითხვის მეთოდი.
ინდიკატორი N **2.1.2.1**	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხედოს მე-5 და მე-6 კლასის ბუნებისმეტყველების საგნის კუკულუმების სამუშაო ვერსიები, რათა დაზუსტდეს სავალდებულო თემები და ქვეცნებები. **მათემატიკა.** მომავალი სასწავლი წლის კურიკულუმების შედგენისას გასათვალისწინებელია, რომ კურიკულუმები ყველა კლასისთვის ერთნაირი ფორმატით იყოს წარმოდგენილი. **სახელმწიფო ენა.** დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში დასახვეწია ,,საკითხის“ და ,,დავალების პირობის“ გრაფა. საურველია, საგნობრივი ჯგუფი I-IV კლასების ფარგლებში შეთანხმდეს კურიკულუმის ერთიან დიზაინზე და კურიკულუმში შესაბამის გრაფა დაასათაუროს, როგორც ,,დავალების იდეა“, ,,დავალების პირობა“ ან ,,შუალედური მიზანი“
ინდიკატორი N ***2.1.2.2***	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები.** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში „მე და საზოგადოება“ სასურველია, გამოჩნდეს, თუ რომელი სამიზნე ცნება, რომელი საკითხით დამუშავდება; „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმში სასურველია, თითოეულ თემაში ზუსტად მიეთითოს ყველა სამიზნე ცნება, ხოლო შეფასების ინდექსი სასურველია, შესწორდეს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად. **ესთეტიკური აღზრდ**ა. სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად

		კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტის შესრულების საფუძველზე, სრულყოფილად შესრულებისათვის, მოხდეს სწორად გადანაწილება კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტებისა. ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია და ცხრილში არასრულყოფილადაა გაწერილი თემები, საკითხები, ცნებები, კომპლექსური დაავალებები და შესაბამისად გამოყენებული რესურსები. სასურველია მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანებში გადაიხედოს დაწყებითი, საფეხურის კურიკულუმები და გამოიკვეთოს ყველა სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, რესურსები, რაც უზრუნველყოფს საბოლოო შედეგს.
ინდიკატორი **N2.1.2.3**	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ესთეტიკური აღზრდის კათედრა.** მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სასწავლო რესურსების სვეტში თემასთან და საკითხთან მიმართებაში არ არის მითითებული გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან გვერდები. სასურველია, სამინისტროს მიერ შემუშავებული რესურსების ან დამატებით გამოყენებული მასალის დაკონკრეტებით გაწერა ცხრილში. კარგი იქნება, თუ მასწავლებლები უფრო მრავალფეროვან რესურსებს გამოიყენებენ სასწავლო მიზნებისათვის.
ინდიკატორი N **2. 1.2.5.**	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	**ესთეტიკური აღზრდის კათედრა.** შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგადი ხასიათისაა. მასწავლებლებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები. უმჯობესია, სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაკონკრეტდეს დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან და სტანდარტის შედეგებთან მიმართებით.
ინდიკატორი N **2.2.1.3.**	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური,	**მათემატიკა.** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები მეტად დაკონკრეტდეს კომპლექსური ტიპის დავალების კონტექსტთან/თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების მისაღწევ შედეგებთან მიმართებით. შეფასების ასეთი რუბრიკები ხელს შეუწყობს

	სამართლიანი	მასწავლებელს, რომ მოსწავლეების შეფასება გახადოს მეტად გამჭირვალე, ობიექტური, სანდო და სამართლიანი. **ესთეტიკური აღზრდის კათედრა.** სასურველია კათედრაზე მომუშავე მასწავლებლებმა დაწყებით საფეხურზე შეიმუშაონ რამდენიმე ტიპის რუბრიკა (მაგ. პროექტის, ჯგუფური, ინდივიდუალური ან წყვილებში მუშაობის, შექმნილი/დამზადებული ნამუშევრის შესაფასებლად). მკაფიოდ განსაზღვრონ კრიტერიუმების რაოდენობა, მიანიჭონ წონადობა და შედეგების საბოლოო შეფასება კონვერტაციის შედეგად გააკეთონ 10 ქულიან სისტემაზე დაყრდნობით **სახელმწიფო ენა.** სასურველია, შეფასების რუბრიკებში უფრო მკაფიოდ გამოკვეთოს, რომელ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს მიემართება შეფასება. I –IV კლასებში განმავითარებელი შეფასების, ხოლო V-VI კლასების დონეზე, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი. ორივე ტიპის შეფასების რუბრიკა კონკრეტულ შუალედურ მიზანსა და კონტექსტმაგალითებზე უნდა იყოს მორგებული. ამ კუთხით სკოლამ აქტური მუშაობა უნდა გააგრძელოს.
ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**ესთეტიკური აღზრდის კათედრა.** სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს რა დამხმარე სახელმძღვანელოებს იყენებენ მასწავლებლები და რომელი თემის ფარგლებში. ასევე კათედრის სხდომის ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საგაზო საფეხური*	*რჩევა*
*ინდიკატორი N*2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინტერესების გასათვალისწინებად გამოყენებული იქნას გამოკითხვის მეთოდი.

ინდიკატორი N.2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სახელმწიფო ენა.** 2025-2026 სასწავლო წლისთვის სკოლამ უნდა გააგრძელოს კურიკულუმის დახვეწაზე მუშაობა. სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში სვეტის/გრაფის სახელწოდება ,,კომპლექსური ბუნების დავალება“ შეიცვალოს ტერმინით ,,შუალედური მიზანი“. საბაზო საფეხურზე ნათლად გამოკვეთოს შემდეგი მოთხოვნები: სამიზნე ცნებები, თემატური ბლოკი, სავალდებულო ნაწარმოებების შესწავლის საკითხი. მაგალითისთვის: საბაზო საფეხურის კურიკულუმებში არ არის გამოკვეთილი თემატური ბლოკი. მითითებულია მხოლოდ თემები. **მათემატიკა**. მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას გასათვალისწინებელია, რომ საბაზო (IX კლასი) საფეხურზე კურიკულუმში შეიტანონ კომპლექსური ტიპის მხოლოდ ის დავალებები, რომლის განხორციელებასაც დაგეგმავენ სასწავლო პროცესში. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.** საბაზო საფეხურზე ბიოლოგიის საგნის კურიკულუმების სამუშაო ვერსიებში არის მცირე უზუსტობები: მე-7 კლასში თემად ზედმეტად ასახულია „უჯრედი“; მე-8 კლასში სამიზნე ცნებად წერია „კვლევა“, ხოლო მე-9 და მე-10 კლასებში ყველა სამიზნე ცნება არაა ასახული. რაც შეეხება ფიზიკის საგნის კურიკულუმებს თემებად ჩაწერილია სახელმძღვანელოს თავები. ამიტომ, სასურველია კიდევ ერთხელ გადაიხედოს აღნიშნული დოკუმენტები სრულყოფილი სახის მისაღებად.
ინდიკატორი N **2.1.2.2**	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**სახელმწიფო ენა.** სასურველია, საგნობრივმა ჯგუფმა ჩაასწოროს საბაზო საფეხურის კურიკულუმში ცალკეული უზუსტობები. მაგალითისთვის: მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმში ჩარჩენილი იყო სტრატეგიები, რომელიც ამ ეტაპისთის სამიზნე ცნებად არა განიხილება. კონტექსტმაგალითების გრაფაში ძირითად კონტექსტ-მაგალითად ხშირ შემთხვევაში ჩამოწერილია 4-5 ნაწარმოები, რაც არარელევანტურია. ძირითადი კონტექსტმაგალითი უმეტესად არის ერთი ნაწარმოები, რომელსაც უშუალოდ ეფუძნება დავალება. დავალების პირობაში მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს სამიზნე

		ცნება/ცნებები. სასურველია, კურიკულუმში თემატური ბლოკების მიხედვით გაიფილტროს სამიზნე ცნენები და დარჩეს მხოლოდ ის გრძელვადიანი მიზნები, რომელსაც რეალურად ფარავს დავალება. **ესთეტიკური აღზრდა.** სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად საბაზო საფეხურზე კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტის შესრულების საფუძველზე, სრულყოფილად შესრულებისათვის, მოხდეს სწორად გადანაწილება კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტებისა. ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია და ცხრილში არასრულყოფილადაა გაწერილი თემები, საკითხები, ცნებები, კომპლექსური დავალებები და შესაბამისად გამოყენებული რესურსები. მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანებში გადაიხედოს საბაზო საფეხურის კურიკულუმები და გამოიკვეთოს ყველა სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი,რესურსები, რაც უზრუნველყოფს საბოლოო შედეგს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები.** საბაზო საფეხურის მე-7, მე-8, კლასების „გეოგრაფიის“ კურიკულუმში, სასურველია ამოიშალოს სამიზნე ცნება: „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“; საგან „ისტორიის“ საბაზო საფეხურის კურიკულუმშიც სასურველია, შედეგების ინდექსი შეიცვალოს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად; საგან: „მოქალაქეობის“ მე-8 კლასის კურიკულუმში, სასურველია, ჩასწორდეს სამიზნე ცნებები: „ინიციატივა და მეწარმეობა“ და „სოციალიზაცია“, ხოლო მე-9 კლასის კურიკულუმში, სამიზნე ცნებები სასურველია შეიცვალოს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად.
ინდიკატორი *N2.1.2.3*	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის	**ესთეტიკური აღზრდა.** მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სასწავლო რესურსების სვეტში თემასთან და საკითხთან მიმართებაში არ არის მითითებული გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან გვერდები. სასურველია, სამინისტროს მიერ შემუშავებული რესურსების ან დამატებით გამოყენებული მასალის დაკონკრეტებით გაწერა ცხრილში.

	შედეგების მიღწევას	კარგი იქნება, თუ მასწავლებლები უფრო მრავალფეროვან რესურსებს გამოიყენებენ სასწავლო მიზნებისათვის.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	**ესთეტიკური აღზრდა.** შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგადი ხასიათისაა. მასწავლებლებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები. უმჯობესია, სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაკონკრეტდეს საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან, ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და სტანდარტის შედეგებთან მიმართებით.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**სახელმწიფო ენა.**სასურველია, საგნობრივმა ჯგუფმა საბაზო საფეხურზე დახვეწოს როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. დააკონკრეტოს შუალედური მიზნის კონკრეტული ნაბიჯ-კრიტერიუმებისა და შესასწავლი სავალდებულო ნაწარმოებების მიხედვით. **ესთეტიკური აღზრდა.** კათედრაზე მომუშავე მასწავლებლებმა საბაზო საფეხურზე შეიმუშაონ რამდენიმე ტიპის რუბრიკა (მაგ. პროექტის, ჯგუფური, ინდივიდუალურიან წყვილებში მუშაობის, შექმნილი/ დამზადებული ნამუშევრის შესაფასებლად), მკაფიოდ განსაზღვრონ კრიტერიუმების რაოდენობა, მიანიჭონ წონადობა და შედეგების საბოლოო შეფასება კონვერტაციის შედეგად გააკეთონ 10 ქულიან სისტემაზე დაყრდნობით. **მათემატიკა.** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები მეტად დაკონკრეტდეს კომპლექსური ტიპის დავალების კონტექსტთან/თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების მისაღწევ შედეგებთან მიმართებით. შეფასების ასეთი რუბრიკები ხელს შეუწყობს მასწავლებელს, რომ მოსწავლეების შეფასება გახადოს მეტად გამჭირვალე, ობიექტური, სანდო და სამართლიანი.
ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**ესთეტიკური აღზრდა.** სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს რა დამხმარე სახელმძღვანელოებს იყენებენ მასწავლებლები და რომელი თემის ფარგლებში. ასევე კათედრის სხდომის

		ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.** საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სასწავლო რესურსების შეფასების კრიტერიუმები, რაც არსებითი ორიენტირია დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის. სასურველია 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრის ოქმში ცალკე საკითხად აისახოს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი. გარდა იმ შემთხვევისა, თუ სკოლა შეიმუშავებს ერთ მთლიან დოკუმენტს.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.** სასურველია სკოლამ ახალი სასწავლო წლისათვის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში რეაქტივების განახლება-შევსება.
სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი*** ***ზოგადი განათლების საშუალო საფეხური***	***რჩევა***
*ინდიკატორი N***2.1.1.1**	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინტერესების გასათვალისწინებად გამოყენებული იქნას გამოკითხვის მეთოდი.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.** საშუალო საფეხურზე მე-11 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში, თემა - „ევოლუცია“ გამორჩენილია სამიზნე ცნება „ჯანმრთელობა და დაავადებები“. ფიზიკის საგნის კურიკულუმებში კი თემებად ასახულია სახელმძღვანელოს თავები. 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები ბიოლოგიის საგანის კურიკულუმებში, ხოლო ფიზიკის საგნის კუთხით გადაიხედოს

		საგნობრივი სტანდარტი და სწორად აისახოს სამიზნე ცნებები, თანამდევი ქვეცნებები და შემოქმედებითი პროდუქტი. **მათემატიკა.** მომავალი სასწავლი წლის კურიკულუმების შედგენისას გასათვალისწინებელია, რომ საშუალო (XII კლასი) საფეხურზე კურიკულუმში შეიტანონ კომპლექსური ტიპის მხოლოდ ის დავალებები, რომლის განხორციელებასაც დაგეგმავენ სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ესთეტიკური აღზრდა.** სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად საშუალო საფეხურზე კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტის შესრულების საფუძველზე, სრულყოფილად შესრულებისათვის, მოხდეს სწორად გადანაწილება კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტებისა. ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია და ცხრილში არასრულყოფილადაა გაწერილი თემები, საკითხები, ცნებები, კომპლექსური დაავალებები და შესაბამისად გამოყენებული რესურსები. მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანებში გადაიხედოს საშუალო საფეხურის კურიკულუმები და გამოიკვეთოს ყველა სამიზნე ცნება/ქვეცნებები ,საკითხი, კონტექსტ-მაგალითი,რესურსები, რაც უზრუნველყოფს საბოლოო შედეგს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები.** სასურველია კურიკულუმები შეიქმნას კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობით, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, ყველა საგანში: „ისტორია“, „საქართველოს ისტორია“, „გეოგრაფია“ და „სამოქალაქო განათლება“. თითოეულ თემაში სასურველია, დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება მოქმედი სტანდარტის შესაბამისად და ასევე სასურველია, კურიკულუმებში აისახოს ახალი შედეგების ინდექსი.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის	**ესთეტიკური აღზრდა.** მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სასწავლო რესურსების სვეტში თემასთან და საკითხთან მიმართებაში არ არის მითითებული გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან გვერდები.

	მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია, სამინისტროს მიერ შემუშავებული რესურსების ან დამატებით გამოყენებული მასალის დაკონკრეტებით გაწერა ცხრილში. კარგი იქნება, თუ მასწავლებლები უფრო მრავალფეროვან რესურსებს გამოიყენებენ სასწავლო მიზნებისათვის.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკური აღზრდა.** შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგადი ხასიათისაა. მასწავლებლებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები. უმჯობესია, სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაკონკრეტდეს საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან, ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და სტანდარტის შედეგებთან მიმართებით.
ინდიკატორი N 2. 2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ესთეტიკური აღზრდის კათედრა.** კათედრაზე მომუშავე მასწავლებლებმა საშუალო საფეხურზე შეიმუშაონ რამდენიმე ტიპის რუბრიკა (მაგ. პროექტის, ჯგუფური, ინდივიდუალური ან წყვილებში მუშაობის, შექმნილი/დამზადებული ნამუშევრის შესაფასებლად), მკაფიოდ განსაზღვრონ კრიტერიუმების რაოდენობა. **სახელმწიფო ენა**. სასურველია, საგნობრივმა ჯგუფმა საშუალო საფეხურზე როგორც განმავითარებელ ასევე, განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებში დააკონკრეტოს, რომელ გრძელვადიან მიზანს მიემართება შეფასება. საგნობრივმა ჯგუფმა მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს, თუ რა ფორმით შეიმუშავებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნებიან გრძელვადიან მიზნებს. სამომავლოდ აუცილებლაად უნდა შეიმუშავონ შეფასების მრავალფეროვანი ჰოლისტური სისტემა. **მათემატიკა.**განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები მეტად დაკონკრეტდეს კომპლექსური ტიპის დავალების კონტექსტთან/თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების მისაღწევ შედეგებთან მიმართებით. შეფასების ასეთი რუბრიკები ხელს შეუწყობს მასწავლებელს, რომ მოსწავლეების შეფასება გახადოს მეტად გამჭირვალე, ობიექტური, სანდო და სამართლიანი.

ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.** საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სასწავლო რესურსების შეფასების კრიტერიუმები, რაც არსებითი ორიენტირია დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის. 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრის ოქმში ცალკე საკითხად აისახოს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი. გარდა იმ შემთხვევისა, თუ სკოლა შეიმუშავებს ერთ მთლიან დოკუმენტს. **ესთეტიკური აღზრდა.** სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს რა დამხმარე სახელმძღვანელოებს იყენებენ მასწავლებლები და რომელი თემის ფარგლებში. ასევე კათედრის სხდომის ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**.სასურელია, რომ ახალი სასწავლო წლისათვის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში რეაქტივების განახლება-შევსება.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლამ 2025 წლის 7 აგვისტოს MES 5 25 0000962556 კორესპონდენციით წარმოადგინა, არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ხარვეზებს კონკრეტულ ინდიკატორებთან მიმართებაში. წერილში სკოლა დაეთანხმა დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს და ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებს, რომელთა გათვალისწინებასაც უზრუნველყოფს ეტაპობრივად. არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ,

ინდიკატორი N3.1.1.1. სკოლამ ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობის საკვანძო კომპონენტებთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 20 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნა“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი 3.1.2.4. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ, დაწყებით კლასებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების უსტატუსო მასწავლებლის შესაბამისი სტატუსის მქონე პედაგოგით ჩანაცვლების პერიოდი განსაზღვრა 2025 წლის 7 აგვისტოდან 2026 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით. სკოლის პოზიცია გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა, რის საფუძველზეც შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნა“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორების 3.1.1.1 და 3.1.2.4 შეფასების შეცვლის საფუძველზე, კომპონენტი 3.1-ის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“.

ინდიკატორი 3.4.1.1. სკოლამ, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სოფელ წვერმაღალაში არსებული სკოლის შენობის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვის, შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვების და უფლებამოსილ ორგანოსთან /პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების ვადად განსაზღვრა პერიოდი 07.08.2025-07.08.2027 წწ. სკოლის პოზიცია გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა რის საფუძველზეც შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნა“ შეიცვალა შეფასებით „ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი N3.4.1.2 სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სოფელ წვერმაღალაში მდებარე სკოლის შენობაში ექიმის/ექთნის დასაქმების უზრუნველყოფა და კანონმდებლობით ნებადართული/განსაზღვრული მედიკამენტების შესყიდვის ვადად განსაზღრა პერიოდი 07.08.2025-07.08.2026 წ. რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა და ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს“

ინდიკატორი N3.4.1.6 სკოლამ შესაბამისობის უზრუნვველყოფის გეგმით პესონალურ მონაცემების დამუშავების თაობაზე დასაქმებულისაგან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით თანხმობის მოპოვების ვადად განსაზღრა 01.09.2025-20.09.2025 წ. პერიოდი რაც ექსპერტების მიერ იქნა გაზიარებული და შესაბამისად ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას“.

3.4.1.1, 3.4.1.2 და 3.4.1.6 ინდიკატორების შეფასების ცვლილებამ 3.4. კომპონენტის შეფასების „არ შეესაბამება“ შეცვლა შეფასებით „ნაწილობრივ შეესაბამება“.

ინდიკატორი 3.5.1.1. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განახლებისა და მასში სკოლის საკუთრებაში არსებული შენობის დაფიქსირებისა და მისი დაზუსტებული ფართის მითითების ვადად, განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 7 აგვისტოდან 2026 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით. რაც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდკატორის შეფასება „არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს“.

ინდიკატორი N3.5.1.4 სკოლამ უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით სოფელ წვერმაღალაში მდებარე სკოლის შენობაში შშმ პირებისათვის პანდუსის და ადაპტირებულ სველი წერტილის, რესურსოთახის მოწყობის ვადად განსაზღვრა პერიოდი 07.08.2025-07.08.2027 წწ. რაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ და შესაბამისად ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას“ შეცვალა შეფასებით „ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას“.

3.5.1.1 და 3.5.1.4. ინდიკატორების შეფასების ცვლილებამ 3.5. კომპონენტის შეფასება „არ შეესაბამება“ შეცალა შეფასებით „ნაწილობრივ შეესაბამება“.

ინდიკატორი N3.6.2.1 სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალების წარმოების უზრუნველყოფა განსაზღვრა 07.08.2025-07.08.2026 წ. პერიოდში რაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას“ შეცალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას“ შესაბამისად 3.6 კომპონენტის შეფასება „ არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“.

ინდიკატორი N4.1.2.1 სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესში“, მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვის ასაკთან დაკაშირებული ჩანაწერის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად განსაზღვრა პერიოდი 01.09.2025-10.09.2025 წ. რაც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და შესაბამისად ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას“ შეცალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას“ შესაბამისად 4.1 კომპონენტის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“.

ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ, დაწყებით კლასებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების უსტატუსო მასწავლებლის შესაბამისი სტატუსის მქონე პედაგოგით ჩანაცვლების პერიოდი განსაზღვრა 2025 წლის 7 აგვისტოდან 2026 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით. სკოლის პოზიცია გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა, რის საფუძველზეც შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნა“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“. გამომდინარე აქედან, დაწყებით საფეხურზე 2.2 კომპონენტის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცალა შეფასებით „ მეტწილად შეესაბამება“

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლის მისიით განსაზღვრული პრიორიტეტები: სიახლეების დანერგვა, ფიზიკური, ინტელექტუალური, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარების ხელშეწყობა, მაღალი კომუნიკაციის კულტურის მქონე პატრიოტი და ტოლერანტი მოქალაქის აღზრდა და სკოლის ხედვაში განსაზღვრული განვითარების ძირითადი მიმართულებები: ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა, უსაფრთხო ფიზიკური, ფსიქოემოციური და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა, დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული განათლების მიწოდება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**
   მისიაში გამოხატული ფასეულობები: სიახლეების დანერგვა, ფიზიკური, ინტელექტუალური, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარების ხელშეწყობა, ასევე პატრიოტული და ტოლერანტული მოქალაქის აღზრდა აყალიბებს სკოლას არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებად, არამედ სივრცედ, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა სრულფასოვანი პიროვნული ზრდისთვის. ხედვაში გამოკვეთილი პრიორიტეტები კი ასახავს სკოლის მისწრაფებას იყოს განვითარებაზე ორიენტირებული, უსაფრთხო და მხარდამჭერი ყველა მოსწავლისთვის. სკოლა მისიისა და ხედვის საშუალებით მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**
   სასკოლო საზოგადოების წევრების სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში ჩართვის მიზნით სკოლამ შეიმუშავა კითხვარები მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. განახორციელა გამოკითხვა, გააანალიზა გამოკითხვის შედეგები და ჩამოაყალიბა სკოლის მისია, ხედა და ღრებულებები. განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა როგორც გამოკითხვისთვის გამოყენებული კითხვარები, ასევე მიღებული შედეგების ანალიზი. წარმოდგენილი

ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლა სისტემურად და გააზრებულად მიუდგა აღნიშნულ პროცესს და სკოლის ფილოსოფია ასახავს სასკოლო საზოგადოების საერთო ხედვასა და საჭიროებებს.

რჩევა სასურველია სკოლამ გამოკითხვის პროცესში ჩართოს არა მარტო მასწავლებლები არამედ სკოლაში დასაქმებული ყველა პირი.

ინდიატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული აქვს სკოლის ვებგვერდზე მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგის შესაბამისად.

ინდკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზეა https://skolebi.emis.ge/schools/579 და შესაბამისად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება, სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლა, შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენლ ტერმინს სკოლა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- https://skolebi.emis.ge/schools/579;
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასკოლო საზოგადოების მიერ შევსებული კითხვარები;
- გამოკითვის შედეგების ანალიზი;
- 17/04/2025 წლის ბრძანება N2-26. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**
   სკოლას შემუშავებული აქვს „მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება ხორციელდება დირექტორის მიერ განსაზღვრული წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომელიც მოიცავს სკოლის დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ პერსონალს, მოსწავლეთა, მშობელთა და თემის წარმომადგენლებს. აღნიშნული შემადგენლობით განსაზღვრული ჯგუფი და სტრატეგიული დოკუმენტების გაზიარების პროცესი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების ასახვას სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო დოკუმენტები ზიარდება სასკოლო საზოგადოებასთან, რაც ზრდის გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს სკოლასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მდგრად ფორმატს. სკოლის მიერ დანერგილი აღნიშნული მიდგომა მიუთითებს კარგად ორგანიზებულ, გამჭვირვალე და დემოკრატიულ მართვის პრაქტიკაზე, რომელიც ეფუძნება თანასწორობასა და ჩართულობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის შვიდწლიანი და ციკლური ხასიათის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების (ფილოსოფიის) საფუძველზე. დოკუმენტის ციკლურობა დასტურდება „მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით, რომლის მიხედვითაც სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება 7 წელიწადში ერთხელ, ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე მინიმუმ 6 თვით ადრე ან შესაბამის სამართლებრივ/ფაქტობრივი გარემოებების დადგომიდან გონივრულ ვადაში. სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს სკოლისთვის მნიშვნელოვან მიზნებს, რომლებიც თანხვედრაშია მისიასთან. თითოეული მიზანი ჩაშლილია ამოცანებში, რაც გეგმის სტრუქტურას აძლევს ლოგიკურ თანმიმდევრობას და იძლეა პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას. გეგმის შინაარსი აჩვენებს, რომ სკოლა მოქმედებს გრძელვადიანი განვითარების პრინციპებით, საკუთარი ღირებულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

რჩევა.სკოლის სტრატეგიული მიზნის „სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება“ ერთ-ერთი ამოცანაა სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა, სასურველის სკოლამ გაითვალისწინოს, რომ ამოცანათა ერთობლიობა უნდა ემსახურებოდეს მიზნის მიღწევას და შესაბამისად მიზნისა და ამოცანის ფორმულირება უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. რადგან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, სამოქმედო გეგმა ყოველწლიურ თვითშფასებასთან მიმართებით არ იქნა განხილული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. ინდიკატორი/მტკიცებულება.

ინდკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N1 (13/09/2024 წ.) დაბა ურეკის სტრატეგიული გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე;
- 17/04/2025 წლის ბრძანება N2-26. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

„მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით (თავი 12), სკოლა სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს წელიწადში 2- ჯერ, იანვარსა და ივნისში. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს კი მისი მოქმედების პერიოდის შუაში და ბოლოს. მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია მონიტორინგის 2 ალტერნატიული გზა, რაც მონიტორინგის პროცესს უფრო მოქნილს ხდის. მონიტორინგის პროცესში გამოიყენება ანგარიშგების და შეფასების აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლას „მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონირტორინგი და შეფასება აღნიშნული გეგმების მოქმედების პერიოდის განმავლობაში ორჯერ. სკოლა გამოხატავს მზაობას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასებისას გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. განსაზღვრულია მონიტორინგის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის მიერ შემუშავებული „მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-5 მუხლით გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროება მათი სკოლის ვებგვერდზე გამოქეყნებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

„მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით (თავი 12. პუნქტი 4) სკოლა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 10/04/2025 წლის ბრძანება N2-17 MES 9 25 0000002-17 სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
- 17/04/2025 წლის ბრძანება N2-26. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების რაოდენობა, ურთიერთდაქვემდებარება და ფუნქციები რეგულირდება სკოლის საშტატო განრიგით, სკოლის სტრუქტურის სქემატური გამოსახულებით, სკოლაში დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობებით. სკოლის საშტატო ნუსხა ასახავს როგორც ადმინისტრაციულ, ისე პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალის პოზიციებსა და რაოდენობრივ განაწილებას, რაც ხელს უწყობს სამუშაოს რაციონალურ გადანაწილებას და რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას. სკოლის სტრუქტურის სქემატური გამოსახვა თვალსაჩინოდ ასახავს ურთიერთდაქვემდებარებას, უზრუნველყოფს ეფექტიან კოორდინაციას და ხელს უწყობს პასუხისმგებლობათა იერარქიულად სწორ გადანაწილებას. კათედრის და მისი ხელმძღვანელის საქმიანობა, ასევე დამრიგებლის საქმიანობა რეგულირება სასკოლო სასწავლო გეგმით. დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობების დოკუმენტით განსაზღვრულია დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობის საკვანძო კომპონენტები, რომლის მიხედვითაც, „სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი არეგულირებს თანამშრომელთა მოქმედების არეალს, ფუნქციურ დატვირთვას და ანგარიშვალდებულებას და მოიცავს შემდეგ საკვანძო ინფორმაციას: 2.1.თანამდებობის/პოზიციის დასახელება, 2.2.სტრუქტურული ერთეული (არსებობის შემთხვევაში), 2.3. შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები) და პასუხისმგებლობები, 2.4. სამუშაო პირობები.“ სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი კი, რომელსაც მითითებული აქვს, რომ მომზადებულია ადამიანური რესურსების პოლიტიკით განსაზღვრული ნორმების მიხედვით, მოიცავს მხოლოდ სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობებს (ყველა პოზიცია არ არის დეტალურად განხილული, მაგ., ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები ერთიანად და ზოგადადაა წარმოდგენილი), ანგარიშვალდებულების ნაწილი განსაზღვრულია მხოლოდ გარკვეული პოზიციებისთვის, ხოლო სამუშაო პირობების აღწერა საერთოდ არ ფიგურირებს დოკუმენტში.

რჩევა: სასურველის სკოლის სტრუქტურის სქემატურ გამოსახულებაში გამოიკვეთოს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის უშუალო ხელმძღვანელი.

ხარვეზი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობის საკვანძო კომპონენტები სრულად არ არის ასახული ფუნქცია-მოვალეობების მოქმედ დოკუმენტში, რის შედეგადაც დოკუმენტებს შორის შინაარსობრივი შეუთავსებლობაა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობის საკვანძო კომპონენტებთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025

წლის 20 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნა“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია: შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.09.2025-20.10.2025წ.) სკოლამ უზრუნველყოს ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობის საკვანძო კომპონენტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგით, სკოლის სტრუქტურის სქემატური გამოსახულებით, სკოლაში დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობებით და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქცია მოვალეობების ანალიზით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად მოიცავს იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება, ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, უზრუნველყოფს ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობას და პასუხისმგებლობების გამიჯვნას დასაქმებულთა შორის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურის სქემატური გამოსახულება;
- სკოლაში დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან (2024 წლის 17 სექტემბერი პედსაბჭოს ოქმი N2) და დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ (2024 წლის 18 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2). ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, ღირებულებებს. არეგულირებს მასწავლებლის სამუშაოზე აყვანას, მათი ახალ სამუშაო გარემოში სოციალიზაციას, პროფესიულ განვითარებას, ადამიანური რესურსებისა და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას, პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლაში დასაქმებული კადრების შერჩევა ხორციელდება ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

შინაგანაწესით (შეთანხმებული 2024 წლის 12 სექტემბრის პედსაბჭოზე ოქმი N1 და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 13 სექტემბრის N 1 სხდომაზე) რეგულირდება შრომის პირობების დაცვა სკოლაში, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, შრომითი ურთიერთობების პირობები, ზეგანაკვეთური სამუშაოსა და შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტა, დასაქმებულის წახალისების ფორმები, დისციპლინური პასუხისმგებლობა და სხვა საკითხები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის დირექციასთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლის პრაქტიკაა დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში უზრუნველყოს სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესის გაცდენა აღირიცხება შესაბამის ჟურნალში, სახელწოდებით „შეცვლილი და გაცდენილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი“, და მისი ჩანაცვლება ხდება იმავე საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლით. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ მიეწოდება სკოლის დირექტორს, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას შემცვლელი მასწავლებლის ფინანსური უზურუნველყოფის შესახებ. სკოლის საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკას არსებითად უწყობს ხელს ასევე სკოლის მიერ ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული თანამშრომლის სოციალიზაციის პროცესი. სოცალიზაცია უზრუნველყოფს თანამშრომლის ეტაპობრივ ინტეგრაციას სკოლის კულტურაში, რაც ამაღლებს მისი საქმიანობის ეფექტიანობას, ამცირებს სისტემურ რისკებს და იძლევა საშუალებას პრევენციული და ინტერვენციული ნაბიჯები განხორციელდეს დროულად, შეთანხმებულად და მიზნობრივად.

ინდიკატორის მოთხოვნა დამაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს წესსა და პირობებს რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შერჩევას, დასაქმებას, კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის დირქციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლისაგან განსხვავებულ პოზიციაზე პირის დანიშვნა ხორციელდება დირექტორის მიერ, პროფესიული კომპეტენციისა და დასაკავებელი პოზიციის სპეციფიკის გათვალისწინებით გასაუბრების საფუძველზე.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლისაგან განსხვავებულ პოზიციაზე პირის დირექტორის მიერ, პროფესიული კომპეტენციისა და დასაკავებელი პოზიციის სპეციფიკის გათვალისწინებით გასაუბრების საფუძველზე დანიშვნის პრაქტიკა აისახოს სკოლის შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტაცაში.

ექსპერტების მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსების საფუძველზე მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლის შერჩევის პროცედურა. დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად აქვს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად განაცხადი გაკეთებული, შექმნილი აქვს შესაბამისი კომისია და შერჩევის პროცედურები ჩატარებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში ვიზიტის პერიოდში შესწავლილი იქნა დასაქმებულთა პირადი საქმეები, რომელთა დათვალიერებისა და ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ყველა დასაქმებულის პირად საქმეს ახლდა სრულად ის დოკუმენტაცია, რაც აუცილებელია შესაბამის პოზიციაზე დასაქმებისთვის. სკოლის შინაგანაწესის შესწავლამ გამოავლინა, რომ აღნიშნული დოკუმენტის მე-10 მუხლში (წინასახელშეკრულებო ურთიერთობა) მოცემულია კანდიდატებისგან მოსათხოვნი დოკუმენტების ჩამონათვალი, მათ შორის — ცნობა ნასამართლობის შესახებ (მასწავლებლისა და უსაფრთხოების კოორდინატორის პოზიციებზე) და ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ და არ არის გათვალისწინებული ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნული ქმნის სკოლის რეგულაციის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეუსაბამობას, რაც სასურველია რომ იქნას შესაბამისობაში მოყანილი.
რჩევა. სასურველია სკოლის შინაგანაწესის მე-10 თავში, შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე კანდიდატის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტების ნუსხას, დაემატოს ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკის, კანონმდებლობისა და სკოლის რეგულაცის შესაბამისობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გამონაკლისს წარმოადგენს დაწყებითი კლასების მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ხელოვნებას და არ აქვს შესაბამისი სტატუსი ხელოვნებაში. ყველა დასაქმებულთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

ხარვეზი.

დაწყებით კლასების მასწავლებელი, რომელსაც არ გააჩნია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შესაბამისი მასწავლებლის სტატუსი, ასწავლის აღნიშნულ საგანს, რაც წარმოადგენს დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობას.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ, დაწყებით კლასებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების უსტატუსო მასწავლებლის შესაბამისი სტატუსის მქონე პედაგოგით ჩანაცვლების პერიოდი განსაზღვრა 2025 წლის 7 აგვისტოდან 2026 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით. სკოლის აღნიშნული პოზიცია გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნა“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025–07.08.2026) სკოლამ უზრუნველყოს დაწყებით კლასებში, კანონმდებლობით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის დანიშვნა.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის მართვის სტრუქტურა მოიცავს სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მრჩეველთა საბჭოს, კათედრას, პედსაბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს და სხვა მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს, რომელებიც სკოლის საჭროებიდან გამომდინარე იქმნება გარკვეული საქმიანობის შესასრულებლად. სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმის შემუშავება ასევე თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართულები არიან ადმინისტრაციის, პედაგოგიური პერსონალის, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების და თემის წარმომადგენლები. სამეურვეო საბჭო განიხილავს და ადგენს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხებს, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, საკონკურსო კომისიები, თანამშრომელთა ჩართულობას კიდევ უფრო აძლიერებს და ქმნის თანამშრომლობით გარემოს. როგორც ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა სკოლის ორგანიზაციული კულტურა გამოირჩევა თანამშრომლობის და გაზიარებული პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს არა მხოლოდ ეფექტიან მართვას, არამედ განათლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების რეალიზებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა. რაც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების უწყვეტობასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მასწავლებლების წარმატებები და საინტერესო პრაქტიკები რეგულარულად განიხილება საგნობრივ კათედრებზე, რაც ხელს უწყობს კოლეგიალურ სწავლასა და საუკეთესო გამოცდილების გავრცელებას. პარალელურად, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს სკოლის წარმატებების წარმოსაჩენად და გასაზიარებლად, რაც ზრდის როგორც მასწავლებელთა მოტივაციას, ისე სკოლის მიმართ საზოგადოების ნდობას.

რჩევა.სასურელია სკოლამ გაწეროს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკაში არსებული/გამოყენებული მექანიზმები რადგან ეს ხელს შეუწყობს პერსონალის ეფექტურად მართვას, აამაღლებს დასაქმებულთა მოტივაციას და ხელს შეუწყობს თანამშრომლობას. რაც დადებითად აისახება სკოლის განვითარებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1 (13/09/2024 წ.) შინაგანაწესის დამტკიცების თობაზე;
- შეცვლილი და გაცდენილი გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი;
- დირექტორის ბრძანება შეცვლილი/ანაზღაურებული გაკვეთილის ანაზღაურების შესახებ;
- 2024 წლის 17 სექტემბრის პედსაბჭოს ოქმი N2 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შეთანხმების შესახებ;
- 2024 წლის 18 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N2 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცების შესახებ;
- ადამიანური რესურსების მართვს პოლიტიკის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- 2024 წლის 12 სექტემბრის პედსაბჭოს ოქმი N1 შინაგანაწესის შეთანახმების თაობაზე;
- 2024 წლის 13 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 1 შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 12.10.2024 წ. დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**
   ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით სკოლას განსაზღვრული აქვს შესრულებული სამუშაოს შეფასების გზები. სკოლა დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას განიხილავს როგორც ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულების იდენტიფიცირების საშუალებას. დოკუმენტით განსაზღვრულია რომ დასაქმებულის შეფასების მექანიზმებია შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასება, გასაუბრება. სკოლის პრაქტიკაა მასწავლებლის შეფასება საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებზე დაფუძნებით. ამრიგად, სკოლა ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.
   სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია შეიმუშაოს დასაქმებულის (არა მასწავლებლის) შეფასების კრიტერიუმები.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**
   ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით სკოლა დასაქმებულის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. აღნიშნული პროცესი სკოლისთვის არის პრიოპრიტეტული და ის ერთწლიან სამოქმედო გეგმის მიხედვით მთელი სასწავლო წლის მანძლზე მიმდინარე პროცესია. დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს პერსონალის განვითარების პრაქტიკა. კერძოდ პერსონალს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას არსებული ტრენინგ კურსებისა და სემინარების შესახებ და ხელს უწყობს ინტერესისა და სურილის შემთხვევაში მათ ჩართვას პროფესიული განვითარების პროცესში. მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგნა მასწავლებელთა და დასაქმებულთა (მაგ., ბიბლიოთეკარის) გადამზადების სერტიფიკატები.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-20 მუხლით (თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება) სკოლა იღებს ვალდებულებას დასაქმებულებს შესთავაზოს პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი მეთოდები როგორც სკოლის ბაზაზე, ისე სკოლის გარეთ ორგანიზებული. სკოლის ხელშეწყობითა და წარდგინებით უფროსმა მასწავლებელმა მიღო წამყვანის სტატუსი. სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში, ხელს უწყობს პედაგოგების მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (მუხლი18. ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია) სკოლა ვალდებულებას იღებს ახალი თანამშრომელს გააცნოს სკოლაში დამკვიდრებული წესები და ტრადიციები, სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ახალმოსულ თანამშრომელს აწვდის ინფორმაციას მის სამუშაო პოზიციასა და როლთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ასევე აცნობს, თუ რა მოლოდინი აქვს მისგან ორგანიზაციას და რა ჩაითვლება სამუშაოს კარგად შესრულებაში. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელს, რომ გაუჩნდეს მიკუთვნებულობის განცდა ორგანიზაციისა და მისი ღირებულებების მიმართ, რაც თავის მხრივ ზრდის თანამშრომლის კმაყოფილებისა და მოტივაციის დონეს.

სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს თანამშრომელთა ადაპტაციის უფრო დეტალური პროგრამა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და სკოლის შინაგანაწესის თანახმად თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მასწავლებლების მიერ მათი ინიციატივის გამოვლენის შედეგად გავლილი ტრენინგების და გადამზადების მასალები. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლებს, ინფორმაციის მიწოდების გზით, სხვადასხვა კონფერენციებში მიიღონ მონაწილეობა. მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების მიერ კონფერენციებში მონაწილეობისთვის მიღებული სერტიფიკატები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024 წლის 17 სექტემბრის პედსაბჭოს ოქმი N2 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შეთანხმების შესახებ;
- 2024 წლის 18 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N2 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცების შესახებ;
- ადამიანური რესურსების მართვს პოლიტიკის დოკუმენტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დასაქმებულთა გადამზადების სერტიფიკატები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

   სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ქვეპროცესებს. მათ შორის მოიცავს სკოლის პროცესებთან და სასწავლო პროგრამებთან (კურიკულუმებთან) დაკავშირებული რისკების შეფასებას, პროცესებისა და კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენას, შემოწმების განხორციელებას, შეფასებისა და უკუკავშირის

უზრუნველყოფას, ასევე რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. აღნიშნული მიდგომა ემყარება უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს და სრულად შეესაბამება დემინგის ციკლს (PDCA – დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება, მოქმედება).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია მმართველობითი (სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა), ძირითადი (კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა) და დამხმარე პროცესები (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხოციელება, ადამიანური და მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნვველყოფა და წესრიგირ დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთიბა და სხვა) , რომლებიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიან განხორციელებასთან. აღნიშნული პროცესი ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში და უზრუნველყოფს ორგანიზაციული საქმიანობის მიზნობრივ დაგეგმვას, როლების მკაფიო გადანაწილებასა და პროცესების ეფექტიან მართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის ეფექტიანი სისტემა. აღნიშნული სისტემა რეგულირდება სპეციალურად შემუშავებული დოკუმენტით, მოსწავლის, თანამშრომლის და მშობლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესით. დოკუმენტი განსაზღვრავს საჩივრებისა და განცხადებების განხილვის ძირითად პრინციპებს, წარდგენის პროცედურებს, განხილვის ვადებს, კონკურსის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს, მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა საჩივრების განხილვის წესებს. სკოლის მიერ შემუშავებული აღნიშნული რეგულაცია ხელს უწყობს გამჭვირვალე და სამართლიან გადაწყვეტილებების მიღებას და უზრუნველყოფს ყველა მხარის უფლებების დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, კანონმდებლობის შესაბამისად, არჩეულია დისციპლინური კომიტეტი, რომლის ფუნქციაა განიხილოს დისციპლინური ხასიათის დარღვევები. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი დისციპლინური სახდელები, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობასა და

სამართლებრივ დაცულობას დისციპლინური პროცესების წარმართვისას. ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლა, სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის ერთ-ერთ მექანიზმად მიიჩნევს მათ ინფორმირებულობას, ამიტომ სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის მიერ განსახორციელებელი იმ აქტივობების ნუსხას, რომელთა განხორციელებაც ერთის მხრივ უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას მათი უფლებების შესახებ და მეორეს მხრივ სკოლის მიერ აღნიშნული აქტივობების დროულ და თანამიდევრულად აღსრულებას. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს მასწავლებელთა და დასაქმებულთა საჩივრებს.

ყველა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოიცემა სკოლაში ბრძანების სახით მოიცავს ინფორმაციას მისი გასაჩივრების პერიოდისა და ადგილის შესახებ, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-13 მუხლით „სხვა პირობები“ განსაზღვრულია მხარეებს შორის სადაო საკითხების რეგულირების წესი, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლი კი განსაზღრავს დავის გადაწყვეტის პირობებს. სკოლას განსაზღვრული აქვს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტლების გასაჩივრების მექანიზმიც.

ინდკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 18.07.2025 წლის ბრძანება N2-86 (MES 5 25 000000286) მოსწავლის, თანამშრომლის და მშობლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე;
- 17.04.2025 წლის ბრძანება N2-34 (MES 8 25 0000002-34) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებები;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, უკუკავშირის მიღებასა და მასზე რეაგირებას სხვადასხვა ეფექტიანი მექანიზმის მეშვეობით. ამ მიზნით, სკოლა აქტიურად იყენებს Microsoft Teams-ის პლატფორმას, რაც უზრუნველყოფს როგორც საზოგადოებასთან რეგულარულ კომუნიკაციას, ასევე უკუკავშირის მიღებას. მიღებული უკუკავშირი სისტემატურად მუშავდება და გამოიყენება პროცესების გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის. სკოლას გააჩნია ვებგვერდი, რომელიც ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. აქტიურად ფუნქციონირებს სკოლის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში, რაც კიდევ უფრო ზრდის საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობას. მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, სატელეფონო შეტყობინებებს, მშობელთა კრებებსა და ინდივიდუალურ შეხვედრებს. ყველა კლასში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი, რაც ხელს უწყობს მშობელთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. გარდა ამისა, სკოლის დირექცია სასწავლო წლის დასაწყისსა და დასასრულს მართავს შეხვედრებს მშობლებთან კლასების მიხედვით, რაც ღია დიალოგისა და დროული და ეფექტური უკუკავშირის გარანტიაა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**
   სკოლის კოლეგიური ორგანოები (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შესარჩევი კომისია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო და სხვა) დაკომპლექტებულია შიდა სასკოლო მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი კოლეგიალური ორგანოების ოქმების ანალიზით იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თიმსის პლათფორმა;
- კოლეგიალური ორგანოების ოქმები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს 2 შენობაში. რომელთაგან ერთი მდებარეობს დაბა ურეკში, ხოლო მეორე სოფელ წვერმაღალაში. ორივე შენობის ტერიტორია შემოსაზღვრულია და დაცულია. დაბა ურეკში მდებარე სკოლის შენობაში დასაქმებულთა და მოსწავლეთა ფიზიკურ დაცვასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2 მანდატური, რომლებიც ახორციელებენ ასევე სკოლის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ადმინისტრირებას. შერწყმული, წვერმაღალას დაწყებითი სკოლაში დირექტორის 17/07/2025 წლის N1-97 (MES 6 25 0000001-97) ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. წვერმაღალაში მდებარე სკოლის შენობის ვიდეომონიტორინგი არ ხორციელდება. სკოლა არ არის აღჭურვილი ვიდეოკამერებით. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიაში ქცევის წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებისა და პერსონალის უსაფრთხოებას ექსპერიმენტების ჩატარების/პრაქტიკული მუშაობის დროს.
სკოლას აქვს წერილი გაგზანილი შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკნა შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ და ასევე უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

ხარვეზი. დარღვეულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ 41-ე (სკოლის ვიდეომონიტორინგის სისტემით აღჭურვის წესი) მუხლის პირველი პუნქტი (სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგის სისტემით აღჭურვა). ვინაიდან სკოლის სოფელ წვერმაღალაში მდებარე შენობა არ არის აღჭურვილი ვიდეომონიტორინგის სისტემით.

სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ.

სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

რჩევა

სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

სასურველია სკოლამ უზრუნვლყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის გადამზადება

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმით სკოლამ, სოფელ წვერმაღალაში არსებული სკოლის შენობის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვის, შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვების და უფლებამოსილ ორგანოსთან /პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების ვადად განსაზღვრა პერიოდი 07.08.2025-07.08.2027 წწ. რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა. აღნიშნულის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული ინდიკატორის მოთხოვნა“ შეცვალა შეფასებით **„ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია“.**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია. სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025-07.08.2027 წწ.):

ა.სოფელ წვერმაღალაში არსებული სკოლის შენობის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვა;

ბ. შენობების ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება;

გ. უფლებამოსილ ორგანოსთან /პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დაბა ურეკის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ლოკაციაზე. დაბა ურეკში და სოფელ წვერმაღალაში. დაბა ურეკში განთავსებულ შენობაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის

მიზნით ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/ სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. სოფელ წვერმაღალაში არსებულ სკოლის შენობაში სამედიცინო კაბინეტი არ ფუნქციონირებს. არ არის ექიმი/ექთანი. შესაბამისად სკოლა სრულად ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე (ორივე ლოკაციაზე) პირველადი დახმარების აღმოჩენას. ამასთან სკოლას არ ჰქონდა კანონმდებლობით დაშვებული მედიკამენტები შესყიდული.

ხარვეზი. ა.სკოლას სოფელ წვერმაღალაში მდებარე სკოლის შენობაში არ ჰყავს დასაქმებული ექიმი/ექთანი და შესაბამისად პირველად დახმარების აღმოჩენას ვერ უზრუნველყოფს.

ბ.სკოლას არ აქვს შესყდული კანონმდებლობით ნებადართული/განსაზღვრული მედიკამენტები.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სოფელ წვერმაღალაში მდებარე სკოლის შენობაში ექიმის/ექთნის დასაქმების უზრუნველყოფა და კანონმდებლობით ნებადართული/განსაზღვრული მედიკამენტების შესყიდვის ვადად განსაზღვრა პერიოდი 07.08.2025-07.08.2026 წ. რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა და ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს“ შეცვალა შეფასებით **„მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს“.**

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია: შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025-07.08.2026წ.) სკოლამ უზრუნველყოს:

ა. სოფელ წვერმაღალაში მდებარე სკოლის შენობაში ექიმის/ექთნის დასაქმება;

ბ.კანონმდებლობით ნებადართული/ განსაზღვრული მედიკამენტების შესყიდვა.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში, უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა არსებული სამართლებრივი რეგულაციების, პრაქტიკული მექანიზმებისა და ადამიანური რესურსების მეშვეობით. კერძოდ, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, რაც განსაზღვრავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სტანდარტებსა და სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პრინციპებს. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. მრჩეველთა საბჭოს ოქმების ანალიზი ადასტურებს, რომ სრულად უზრუნველყოფს მისთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში გათვალისწინებული საკითხების განხილვასა და შესრულებას. სკოლის პრაქტიკაა მასწავლებლების მორიგეობა.

დაბა ურეკში მდებარე სკოლის შენობას ემსახურება 2 მანდატური. შენობაში უცხო პირთა გადაადგილების კონტროლის მიზნით მიმდინარეობს შესაბამის რეესტრის წარმოება.

სკოლის მეორე შენობაში (სოფელი წვერმაღალა), უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა ხორციელდება დირექტორის ბრძნებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დახმარებით.

სკოლას შინაგანაწესით (მუხლი 9) განსაზღვრული აქვს სკოლის საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილი დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ეფექტურ და დროულ რეაგირებას სკოლაში დაფიქსირებულ დისციპლინური გადაცდომებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნასა და მხარდაჭერას, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ დამრიგებლებსა და სპეციალურ მასწავლებელს. დამრიგებლები მუშაობენ სპეციალურად შემუშავებული სადამრიგებლო პროგრამების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე: პიროვნული და მორალური განვითარება, უსაფრთხოება, მორალურ-პატრიოტული ცნობიერების განმტკიცება და თვალსაწიერის გაფართოება და სხვა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში განხილული თემები მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ძალადობის პრევენცია („არა ძალადობას“), მავნე ჩვევებისგან თავის არიდება („არა ნარკოტიკებს“), კონფლიქტების მართვისა და აცილების უნარების განვითარებას, პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება თანატოლებთან და სხვა. დამრიგებლები სადამრიგებლო გეგმების შედგენისას მაქსიმალურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და ასაკობრივ სპეციფიკას, რაც უზრუნველყოფს თემების ეფექტიანად მიწოდებასა და მათზე შესაბამის რეაგირებას. სპეციალური მასწავლებელი კი მუშაობს ინდივიდუალურად იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა. სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებები ხელს უწყობს უსაფრთხო, მხარდამჭერი და მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შენარჩუნებას, რაც აუცილებელია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს განვითარებისათვის. სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 06/ნ ბრძანების შესაბამისად, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტით, იღებს ვალდებულებას განახორციელოს პრევენციული მიდგომა და უზრუნველყოს მოსწავლეებისთვის ძალადობის ყველა ფორმის შესახებ ინფორმაციის დროულ მიწოდება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლას აქვს ყველა საჭირო რესურსი სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად. სკოლის დასუფთავებას ემსახურება 3 დამლაგებელი, სკოლას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის 01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების (,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში'') შესაბამისად შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი (ბრძანება 2-28, 17.04.2025 წ), რომელშიც გაწერილია ჰიგიენის დაცვის რეგულაციები. 2025წლის

15 აპრილის N2-22 (MES 5 25 0000002-22) ბრძანებით განსაზღვრული აქვს ასევე ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი სადაც დაზუსტებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნელყოფის კონრეტული მექანიზმები, მათ შორის სკოლაში ყოველდღიური, ყოველკვვირეული და ყოველთვიური დასუფთავების მოთხოვნები.სკოლის ექიმი ზედამხედველობას უწევს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის სველი წერტილები მოწესრიგებულია. გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება დამლაგებლებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი რომელიც რეგისტრირებულია პერსონალურ მონაცემთ დაცვის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე. სკოლის მხრიდან მუშავდება განსაკუთრებული კატეგორიის (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია, უფლების ჩამორთმევის შესახებ ინფორმაცია და სხვ.) მონაცემები. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვა“, რომელიც აწესრიგებს სკოლაში არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვისა და დაცვის საკითხებს. დოკუმენტი მიზნად ისახავს სკოლაში პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხო და კანონიერად დამუშავების სტანდარტების ჩამოყალიბებას. იგი განსაზღვრავს: პერსონალურ მონაცემთა ძირითად კატეგორიებს, რომლებიც ხდება დამუშავების ობიექტი, მონაცემთა მიღების სამართლებრივ წყაროებს, მონაცემთა სუბიექტების (მოსწავლეების, მშობლების, თანამშრომლების და სხვ.) უფლებებს, მონაცემთა შენახვის ვადებს და მათ უსაფრთხოდ დაცვის მექანიზმებს, ვიდეომონიტორინგის განხორციელების პირობებსა და ფარგლებს, იმ პირთა/სუბიექტთა წრეს, ვისაც გააჩნია წვდომა პერსონალურ მონაცემებზე და სხვა. დოკუმენტი ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობას, კონფიდენციალობის დაცვასა და სუბიექტთა ინფორმირების ვალდებულებას. სკოლის მიერ დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულება (მუხლი 11. პერსონალური მონაცემების დამუშავება) მოიცავს ჩანაწერს მის პერსონალური მონაცემების დამუშავების ნებართვასთან დაკავშირებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე მიცემული თანხმობა უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე წინაპირობას: იგი უნდა იყოს წინასწარ ინფორმირებული და ნებაყოფლობითი, ამასთან, თანხმობა არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის, არამედ - მაქსიმალურად მკაფიო და კონკრეტული (განსაზღვრული მიზნით გაცემული), გამოდის, რომ შრომით ხელშეკრულებაში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების ჩაშენებით დარღვეულია ნებაყობლობითობის პრინციპი. ვინაიდან დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ფაქტობრივად „იძულებული“ ხდება დაეთანხმოს პერსონალური მონაცემების დამუშავების ნაწილსაც.

ხარვეზი. სკოლას პესონალურ მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობა დასაქმებულიგან არ აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებული.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით პესონალურ მონაცემების დამუშავების თაობაზე დასაქმებულისაგან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით თანხმობის მოპოვების ვადად განსაზღრა 01.09.2025-20.09.2025 წ. პერიოდი რაც ექსპერტების მიერ იქნა გაზიარებული და შესაბამისად ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისი რეკომენდაცია. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.09.2025-20.09.2025 წ.) სკოლამ უზრუნველყოს პესონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე დასაქმებულისაგან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით თანხმობის მოპოვება.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია. ნებადართულია მხოლოდ კონკრეტულ პირებზე. გარდა აღნიშნულისა, სკოლას გააჩნია დამატებითი დაცვის მექანიზმები. მაგალითად, თითოეული პირისათვის, რომელიც სარგებლობს ელეტრონული ჟურნალით, ელექტრონული ბაზით (school.emis.ge) შექმნილია დამოუკიდებელი მომხმარებელი და პაროლი. სკოლაში დასაქმებული პირები ვალდებულნი არიან დაიცვან მათთვის ცნობილი პერსონალური მონაცემები, ასევე, ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს მონაცემთა დაშიფრვას. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდზე. ყველა ინფორმაცია, რომელიც სკოლაში მუშავდება და ინახება მოსწავლეთა, დასაქმებულთა პირად საქმეების სახით, ასევვე მოსწავლეთა ნამუშევრები ინახება დაკეტილ კარადებში და მათზე წვდომა შეზღუდულია გარეშე პირთათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად სკოლის დირექტორის ბრძანებით კა შექმნილია მრჩეველთა საბჭო, წარმოდგენილია მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები, რომლითაც დასტურდება რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 18.07.2025 წლის ბრძანება N2-80 (MES 9 25 0000002-80) სსიპ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ
- უცხო პირთა აღრიცხვის ჟურნალი;
- ლაბორატორიაში ქცევის წესები;
- 17/04/2025 წლის ბრძანება N2-28 (MES 2 25 0000002-28) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე;
- 15/04/2025 წლის N2-22 (MES 5 25 0000002-22) ბრძანება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე; .
- 17/07/2025 წლის ბრძანება N1-97 (MES 6 25 0000001-97) უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღრის შესახებ;
- 17/04/2025 წლის ბრძანება N2-29 (MES 2 25 0000002029) პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე;
- დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დაბა ურეკში (საკადასტრო კოდი 26.28.06. 572. მომზადების თარიღი 30.04.2025წ.) სკოლა ფლობს 7513 კვ.მ არასასოფლო, სამეურნეო მიწის ნაკვეთს. საკუთრების განყოფილებაში აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შენობა და მისი სართულიანობა ან/და ფართი არ ფიქსირდება, თუმცა სარგებლობაში გადაცემის დროს ფიქსირდება, რომ მოსარგებლე სსიპ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლას გადაცემული აქვს 7513 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა არსებობის ვადით. სკოლა არის ახალი რეაბილიტირებული და ვიზიტის პერიოდში მისი მიღება-ჩაბარება ჯერ არ იყო დასრულებული. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სხვა მისამართი, გარდა „მუნიციპალიტეტი ოზურგეთი დაბა ურეკი"-სა არ ფიქსირდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლის მისამართია დაბა ურეკი. შემოსავლების სამსახურში საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციაში კი სკოლის იურიდიულ მისამართად დაფიქსირებულია ოზურგეთის რაიონი/დაბ. ურეკი თაყაიშვილის 54.

რჩევა. სასურველია დაწესებულებამ საჯარო რეესტრის ამონაწერში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანებასა და შემოსავლების სამსახურის საგადასახადო რეგისტრაციის ინფორმაციაში დაფიქსირებული განსხვავებები სკოლის მისამართთან დაკავშირებით მოიყვანოს შესაბამისობაში

ხარვეზი.საჯარო რეესტრის ამონაწერში არ არის დაფიქსირებული სკოლის საკუთრებაში შენობა და არ არის მითთებული შენობის დაზუსტებული ფართი.

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლასთან შერწყმულია 1786 კვ.მ ფართზე გაშენებული ყოფილი წვერმაღალას სკოლა. აღნიშნული სკოლის შენობა მდებარეობს სოფელ წვერმაღალაში (საკადასტრო კოდი N26.35.04.064) განაშენიანების ფართი 307.14 კვ.მ. შერწყმული სკოლის შენობაში ფუნქციონირებს 2 საკლასო ოთახი (კლასკომპლექტებია აღნიშნულ სკოლაში) სველი წერტილი, რომელშიც კაბინებია ცალ-ცალკე გოგონების, პერსონალსა და ვაჟებისათვის, მცირე ზომის სპორტული მოედანი.

დაბა ურეკში განთავსებულ სკოლის შენობაში არის 21 საკლასო ოთახი, ბიოლოგიის კაბინეტი, ფიზიკა-ქიმიის კაბინეტი, ისტ ლაბორატორია, სამასწავლებლო, რესურსოთახი, ოთახები ადმინისტრაციისთვის, ბიბლიოთეკა, სველი წერტილები ყველა სართულზე ცალცალკე გოგნებისა და ვაჟბისათვის. ასევე შშმ პირებისთვის. ექიმის ოთახი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი გასახდელებითა და საშხაპეებით, სველი წერტილებით და სპორტული მოედანი. სივრცე სასადილო ოთახისთვის. საკლასო ოთახები აღჭურილია მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, კარადებით და სხვა. ყველა საჭირო ინვენტარით.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განახლებისა და მასში სკოლის საკუთრებაში არსებული შენობის დაფიქსირებისა და მისი დაზუსტებული ფართის მითითების ვადად, განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 7 აგვისტოდან 2026 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით რაც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული" შეცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული".

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია: შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025-07.08.2026 წ.) სკოლამ უზრუნველყოს დაბა ურეკში მდებარე სკოლის შენობისათვის საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განახლება, მასში სკოლის საკუთრებაში არსებული შენობის დაფიქსირებით და დაზუსტებული ფართის მითითებით.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში არსებული რესურსების გამოყენების თანაბარ ხელმისაწვდომობას. დაბა ურეკში მდებარე სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი) წევრების საჭიროებებს და მათთვის ხელმისაწვდომია როგორც საერთო სარგებლობის სივრცეები, ისე საგანმანათლებლო რესურსები. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესისთვის აუცილებელი ლიტერატურის ხელმისაწვდომობას. ასევე, მოსწავლეებს და მასწავლებლებს აქვთ წვდომა სააქტო დარბაზზე, სპორტულ დარბაზზე და ღია ტიპის სპორტულ მოედანზე, რაც უწყობს ხელს როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო, ასევე ფიზიკურ განვითარებას. სკოლას გააჩნია კეთილმოწყობილი ეზო და ვრცელი, ნათელი დერეფნები და ფოიეები, რაც ქმნის უსაფრთხო, კომფორტულ და ხელმისაწვდომ გარემოს თითოეული მოსწავლისა და თანამშრომლისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს თანამედროვე IT ლაბორატორია, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ციფრული განათლების მოთხოვნებს და ხელს უწყობს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას. რაც შეეხება შერწყმული სკოლის ინფრასტრუქტურას, ამ შემთხვევაში განიხილება მხოლოდ ორი საკლასო ოთხი, სკოლის ეზო და მცირე ზომის სპორტული მოედნი. თუმცა ჩამოთვლილი სივრცეები ასევე ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორის მითხოვნა დაკმაყოფლებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვან საყრდენს, რომელიც ეფექტურად ემსახურება როგორც მოსწავლეთა, ისე პედაგოგთა ცოდნის გაღრმავებასა და განვითარებას. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა მომხმარებელთა უზრუნველყოფა სასწავლო, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სრულყოფას. ბიბლიოთეკის საქმიანობა სტრუქტურირებულია და რეგულირდება შიდა დებულებით, ბიბლიოთეკის მუშაობის წესით, რომელიც ცხადად განსაზღვრავს როგორც მკითხველის უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე ბიბლიოთეკარის ფუნქციებსა და ვალდებულებებს. ეს ქმნის გამჭვირვალე, პასუხისმგებლიან და ორგანიზებულ სამუშაო გარემოს, რაც აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ შემუშავებული ზემოაღნიშნული წესი, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ფუნქციონირების, სარგებლობისა და მართვის ძირითად პრინციპებს ასევე რეგულირებს შერწყმული სკოლის მიერ ბიბლიოთეკის რესურსების გამოყენების პროცესს, უზრუნველყოფს,

თანაბარ ხელმისაწვდომობას და რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ბიბლიოთეკარი აქტიურად არის ჩართული საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების პროცესში, მომხმარებლის საჭიროებებზე ორიენტირებული მიდგომით უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი მასალების შერჩევაში დახმარებას, რაც საგრძნობლად ამაღლებს სარგებლობის ეფექტურობას. სკოლის ბიბლიოთეკაში არის ჯამში 11985 ერთეული სახელმძღვანელო, 2115 მხატვრული წიგნი. აღრიცხულია მოსწავლეთა მოძრაობა. წიგნები აღნუსხულია საინვენტარო წიგნში,რომელიც აკინძული, დანომრილი, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია. ბიბლიოთეკის სამუშაო საათებია 9:00-16:00 საათამდე. სკოლის ბიბლიოთეკარს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

დაბა ურეკში მდებარე სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერებით, ადმინისტრაციასთან ინტერიუირებით დგინდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა მორგებულია ინკლუზიური განათლების პრინციპებს და მიზნად ისახავს ყველა მოსწავლის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (შშმ პირთა) სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლაში წარმოდგენილი რესურსოთახი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ინდივიდუალურ მხარდაჭერას, ხოლო გარემო ისეა ორგანიზებული, რომ ხელი შეუწყოს სსსმ მოსწავლეების აკადემიური, სოციო-ემოციური და კომუნიკაციური უნარების განვითარებას. სკოლის შენობის შესასვლელში არსებული პანდუსი, ლიფტი, სათანადოდ აღჭურვილი/ადაპტირებული სველი წერტილები ხელს უწყობს სსმ/შშმ პირების სრულფასოვან მომსახურებას. რაც შეეხება სოფელ სოფელ წვერმაღალაში მდებარე სკოლის შენობას, რომელშიც განთავსებულია I-IV კლასები, საგანმანათლებლო სივრცე, ამ ეტაპზე ინფრასტრუქტურულად ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სწავლების ხელმისაწვდომ გარემოს. შენობა არ არის აღჭურვილი პანდუსით და ადაპტირებული სველი წერტილით. არ არის რესურსოთახი.

ხარვეზი. სოფელ წვერმაღალაში მდებარე სკოლის შენობა ვერ უზრუნველყოფს თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნას შშმ პირებისათვის რადგან არ არის პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი და რესურსოთახი.

ინდკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლამ უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით სოფელ წვერმაღალაში მდებარე სკოლის შენობაში შშმ პირებისათვის პანდუსის და ადაპტირებულ სველი წერტილის, რესურსოთახის მოწყობის ვადად განსაზღვრა პერიოდი 07.08.2025-07.08.2027 წწ. რაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ და შესაბამისად ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივად არის დაკმაყოფილებული“.

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისი რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025-07.08.2027 წწ) უზრუნველყოს სოფელ წვერმაღალაში მდებარე სკოლის შენობაში რესურსოთახის, პანდუსისა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა.

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

დაბა ურეკში მდებარე სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას და ამ მიმართულებით მრავალმხრივ ფუნქციურ შესაძლებლობებს იძლევა. სასწავლო შენობა თანამედროვედ არის დაგეგმარებული და ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო, ასევე სოციო-კულტურული აქტივობებისთვის საჭირო გარემოს. სკოლა აღჭურვილია ფართო და ნათელი ფოიეებით, სააქტო და სპორტული დარბაზით, ბიბლიოთეკით, სპორტული მოედნით, რესურს ოთახით, ექიმის კაბინეტით, ლიფტით, საგნობრივი კაბინეტ-ლაბორატორიებითა და სხვა საჭირო სივრცეებით, რაც ხელს უწყობს როგორც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას, ისე მოსწავლეთა ჩართულობას კულტურულ, შემოქმედებით და სპორტულ აქტივობებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის კეთილმოწყობილი და ფუნქციურად გათვლილი ეზო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ აქტივობასა და არაფორმალურ ურთიერთობებს. სკოლის ინფრასტრუქტურული გარემო მოიცავს ყველა იმ კომპონენტს, რაც საჭიროა ინკლუზიური, მრავალფეროვანი და განვითარებაზე ორიენტირებული სასკოლო ცხოვრების უზრუნველსაყოფად, რაც თავის მხრივ აყალიბებს სკოლას არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ აქტიურ სოციო-კულტურულ სივრცედ. სოფელ წვერმაღალაში არსებული სკოლის ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს ორ საკლასო ოთახს, კეთილმოწყობილ ეზოსა და სპორტულ მოედანს, თავის მხრივ, ასევე უზრუნველყოფს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. არსებული ინფრასტრუქტურა ქმნის პირობებს არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის, არამედ მოსწავლეთა სოციალურ, ფიზიკურ და კულტურულ აქტივობებში ჩართულობისთვის. გარემო ხელს უწყობს ურთიერთობების განვითარებას, მოტივაციის ამაღლებასა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- 15/04/2025 წლის ბრძანება N2-24 (MES 7 25 0000002-24)მატერიალური რესურებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ;
- 17/04/2025 წლის ბრძანება N2-25 (MES 8 25 0000002-25) ბიბლიოთეკის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

   ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მართვის პროცესში. აღნიშნული ინფრასტრუქტურის ეფექტურად და ეფექტიანად ადმინისტრირებისათვის სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც სკოლის ისტ ლაბორატორიაში არსებული კომპიუტერებით სარგებლობის უფლება აქთ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და სკოლის სხვა თანამშრომლებს. აღნიშნული წესით რეგულირდება ისტ ლაბორატორიით სარგებლობის წესებიც. სკოლის მფლობელობაშია 54 ერთეული კომპიუტერი, 51 ლეპტოპი (აქედან 2 წვვერმაღალას სკოლაშია), 5 პროექტორი (მათ შორის 1 წვერმაღალაში). ამრიგად, სკოლა აღჭურვილია პროგრამულად გამართული კომპიუტერებით, უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტით, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების სრულფასოვან ფუნქციონირებას.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

   სკოლას აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია. ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერებით სარგებლობის უფლება აქთ მოსწავლეებს და სკოლაში დასაქმებულ პირებს, სკოლა უზრუნველყოფს სტაბილური ინტერნეტით ყველა მნიშვნელოვანი სივრცის (ადმინისტრაცია, კაბინეტები, ბიბლიოთეკა) დაფარვას. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 15 აპრილის MES 7 25 0000002-24 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- 2024 წლის 5 ივლისის მიღება ჩაბარების აქტი პორტაბელური კომპიუტერების და მრავალფუნქციური შავ - თეთრი ლაზერული პრინტერის მიღების თაობაზე.
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- ინვენტარიზაციის მასალები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

   სკოლას შემუშვებული და N2-21 ბრძნებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების მეთდოლოგიური დოკუმენტი, რომლის მიზანია დოკმენტბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტის შედგენისა და გაფორმების ხარისხის ამაღლება, ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა. სკოლის დოკუმენტბრუნვა მოიცავს შემოსულ, გასულ და შიდა დოკუმენტაციას. სკოლაში გამოიცემა 2 სახის ბრძანება: საერთო და საკადრო ბრძანებები, საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია სკოლაში შექმნილი/გამოცემული ბრძანებების, წერილების, ცნობების, ოქმის და სხვა რეკვიზიტები. საქმისწარმოების წესით ასეე განსაზღვრულია სკოლაში სხვადასხვა დანიშნულების სარეგისტრაციო ჟურნალების არსებობა (საერთო და საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაცო ჟურნალი, ცნობების გაცემის რეგისტრაციის და სხა) საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა არ აწარმოებს აღნიშნულ ჟურნალებს.

   რჩევა. სკოლის საქმისწარმოების დოკუმენტზე მითითებულია 2024-2025 წელი. სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს, რომ საქმისწარმოების მარეგულირებელი დოკუმენტი არ გამოიცემა და არ მოქმედებს სასწავლო წლის ვადით და მიუთითოს მხოლოდ მისი გამოცემის წელი.

   ხარვეზი: სკოლის შიდამარეგულირებელი ნორმა და პრაქტიკა არ არის შესაბამისობაში. სკოლა არ აწარმოებს საკუთარი საქმისწარმოების წესით განსაზღვრულ დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალებს.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალების წარმოების უზრუნველყოფა განსაზღვრა 07.08.2025-07.08.2026 წ. პერიოდში რაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ინდიკატორის შეფასება **„ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“** შეცალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად არის დაკმაყოფილებული“ შესაბამისად 3.6 კომპონენტის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.08.2025–07.08.2026წწ) უზრუნველყოს, მისივე შიდამარეგულირებელი ნორმით, საქმისწარმოების წესით, განსაზღვრული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალების წარმოების დაწყება და წარმოების უწყვეტი გაგრძელება.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow და office 365. eSchool-ს სისტემის მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. ზოგიერთი ინფორმაცია და დოკუმენტი მიიღება აგრეთვე სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე ureki@mes.gov.ge. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება ბმულზე registration.emis.ge. სკოლას ასევე აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში .

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

eSchool.emis.ge-ზე სკოლას აქვს საკუთარი პროფილი. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: სკოლის მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. აქვეა განთავსებული მასწავლებლების, მოსწავლეები, სახელმძღვანელოების ბაზები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

დაწესებულების მიერ გაგზავნილი კორესპონდენციების ანალიზით დგინდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კერძოდ, სკოლის დირექტორი სკოლის სამეურვეო საბჭოს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში – ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 15 აპრილის MES 4 25 0000002-21 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი
- სკოლის პროფილი eSchool.emis.ge-ზე;
- დირექტორის ანგარიში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   სკოლა, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებგვერდის https://skolebi.emis.ge/schools/579, სოციალური ქსელის და სხვა კომუნიკაციების არხების მეშვეობით ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას. სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და საგანმანათლებლო სერვისების შესახებ. სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. მშობლებთან კომუნიკაციისათვის აქიურად გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

   სკოლის მიერ ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციების სანდოობა და უტყუარობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის დოკუმენტაციასა და გავრცელებულ ინფორმაციას შორის არსებული შესაბამისობით.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

   სკოლა იყენებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის დირექტორის განმარტებით, უკუკავშირი ძირითადად ზეპირი ფორმით ან სოციალური ქსელების საშუალებით მიიღება, რომელსაც სკოლის ადმინისტრაცია ეცნობა, აფასებს და იმ შემთხვევაში, როდესაც იგი

მნიშვნელოვნად მიიჩნევა, ითვალისწინებს გადაწყვეტილებების მიღების, სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისა და ადმინისტრაციული პროცესების დახვეწის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას აქვს ვებგვერდი. ვებგერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრუქტურის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესახებ, სკოლის შინაგანაწესს, პირველკლასელთა ლიმიტს და სხვა

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პროფილი eSchool.emis.ge-ზე;
- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის ვებგვერდი https://skolebi.emis.ge/schools/579;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

   სკოლის შემოსავლების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება, ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლეების დაფინანსება). სკოლის მიერ შემუშავებული ბიუჯეტი მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას შეუძლია უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის განხორციელება.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

   სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი მოიცავს წლიური სამოქმედო გეგმის, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის და წლიური ბიუჯეტის შედგენას. სამოქმედო გეგმას სკოლა შეიმუშავებს ყოველის წლის დასაწყისში. შესყიდვების წლიურ გეგმას - მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით ყოველი წლის 20 ნოემბრამდე, წლიურ ბიუჯეტს კი შეიმუშავებს ფინანსური წლის ბოლომდე. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბარებს სკოლის სამეურვეო საბჭოს 10 დეკემბრამდე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი;
- სამეურეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

   სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და შესაბამის გარანტიებს უზრუნველყოფს რამდენიმე მარეგულირებელი დოკუმენტი, მათ შორის: სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, აგრეთვე სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით (დამტკიცებული 2025 წლის 17 აპრილის ბრძანებით N2-33), რომელიც წარმოადგენს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ამავე სახელწოდების დოკუმენტის ანალოგს.
   შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლის წახალისების, დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური წარმოების წესი, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმით – სემესტრული და საშემოდგომო გამოცდების ჩაბარების პირობები, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, მოსწავლის კონსულტირების მექანიზმები საშემოდგომო გამოცდებამდე, დამრიგებლის ვალდებულება-მოსწავლეებისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობა. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი არეგულირებს შესაბამის ადმინისტრაციულ პროცედურებს.

სკოლაში ირიცხება 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ყველა მათგანისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლა უზრუნველყოფს მათ უფლებას განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, რაც აისახება მათ მხარდაჭერის სისტემატურ განხორციელებაში, შესაბამისი რესურსების ჩართულობასა და მოსწავლეთა განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოში. სკოლაში რეალიზებულია მოსწავლეთა უფლებები აირჩიონ და არჩული იქნან მოსწავლეთა თვითმმართველობაში და მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში. მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლას მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტით განსაზღვრული აქვს პროცედურები, თუ როგორ შეიძლება სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება.

რჩევა. სასურველია , რომ სკოლამ შეაფასოს საკუთარი საჭიროებები და არსებული პრაქტიკები, გააანალიზოს არსებული ჩარჩო რეგულაცია და ამის საფუძველზე შექმნას ისეთი დოკუმენტი, რომელიც რეალურად მოერგება და გააუმჯობესებს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე, ხოლო დამრიგებლის ფუნქციებში განსაზღვრულია მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის ვალდებულება. შესაბამისად, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით მოქმედი სასკოლო რეგულაციები არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი, რაც უზრუნველყოფს მათ გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მოსწავლესთან და/ან მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრულია სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, დავის გადაწყვეტის წესები, დამატებითი პირობები და ფაქტობრივად უზრუნველყოფილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 17/04/2025 წლის ბრძანება N2-33 (MES 7-25 0000002-33) ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტის მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანზმების მიმართულებით დამტკიცების თაობაზე;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი თავჯდომარის არჩევაზე;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი თავჯდომარის არჩევაზე;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, მოსწავლის სტატუსის შეწყეტის, სტატუსის აღდგენის, მობილობის, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების და მოსწავლის ჩარიცხვა წესსა და პირობებს. წარმოდგენილ დოკუმენტში არის ჩანაწერი მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, რომელიც კერძო სკოლებისთვის არის განკუთვნილი. დოკუმენტში სკოლა აღნიშნავს, რომ აღნიშნული ნორმა კერძო სკოლების პრაქტიკაა, რის გამოც აღნიშნული ჩანაწერი შეიძლება ვთქვათ რომ სკოლისთვის დარღვევას არ წარმოადგენს თუმცა ზედმეტია.

   რაც შეეხება პირველ კლასში რეგისტრირებულ მოსწავლეთა ასაკს, ამ ნაწილში სკოლას აქვს ჩანაწერი „ ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, პირველ კლასში რეგისტრირდება პირი რომელსაც 1-ელ დეკემბრამდე უსრულდება 6 წელი. აღნიშნული ვრცელდება როგორც საჯარო ასევე კერძო სკოლაზე. სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე, გამონაკლისი არ დაიშვება“ . აღნიშნული ჩანაწერი არ მოდის შესაბამისობაში საქართველოს კანონთან ზოგადი განათლების შესახებ, რომლის მიხედვითაც „ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი, რომელიც პირს სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით უსრულდება. ამასთანავე, პირს, რომელსაც 6 წელი სასწავლო წლის დაწყების თარიღის მომდევნო დღიდან 31 დეკემბრის ჩათვლით უსრულდება, უფლება აქვს, მშობლის გადაწყვეტილებით ნებაყოფლობით დაიწყოს სწავლა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე.“

რჩევა. სასურველია, სკოლამ მოსწავლის ჩარიცხის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებიისა და შეწყვეტის წესიდან ამოიღოს ყველა ისეთი ჩანაწერი, რომელიც ეხება მხოლოდ კერძო სკოლების პრაქტიკას და არ არის შესაბამისი საჯარო სკოლისთვის.

ხარვეზი. სკოლის მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვის ასაკი არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესში“, მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვის ასაკთან დაკაშირებული ჩანაწერის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად განსაზღვრა პერიოდი 01.09.2025-10.09.2025წ. რაც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და შესაბამისად ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილადაა დაკმაყოფილებული“ აღნიშნულიდან გამომდინარე 4.1 კომპონენტის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“.

ექსპერტების მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.09.2025-10.09.2025წ) უზრუნველყოს მისივე მარეგულირებელი ნორმის „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წეს“- ში მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვის ასაკთან დაკავშირებული ჩანაწერის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილის შერჩევითი პრინციპით დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი პორცედურებით ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. ამავე სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა, რომლის თანახმადაც მოსწავლეებისათვის და მათი მშობელბისათვის/კანონიერი წარმომადგენლებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობა კლასის დამრიგებლის მოვალეობაა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისები, პროგრამები და რესურსები, რომელთა შესახებ ინფორმაციაც თავმოყრილია სასკოლო სასწავლო გეგმაში (სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭსთან და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭზე), თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მათი მშობლებისა თუ კანონიერი წარმომადგენლებისთვის. ცალკეული დოკუმენტები, რომელიც ეხება მოსწავლეთა კორპუსის მართვას, განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში,სკოლის ვებგვერდზე. ყველა ინფორმაცია, რომელიც ზიარდება არის გამჭვირვალეა და არ შეიცავს რაიმე ფორმის მადისკრიმინირებელ ინფორმაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- . მოსწავლის ჩარიცხის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებიისა და შეწყვეტის წესი.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭს ოქმი;
- სკოლის სოციალური ქსელი;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტით სკოლა არეგულირებს პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა სასკოლო გარემოში ადაპტაციის პროცესს, აღწერს წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნებს. დეზადაპტაციის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორცელებელ აქტივობებსა და სკოლაში პირველი სასწავლო დღის ორგანიზების პროცესს.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**
   სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ამ მიზნით სკოლა აწყობს პირველ კლასში შემომსვლელ მოსწავლეთათვის ღონისძიებას, აცნობს სკოლას, თითოეული დამრიგებელი უზრუნველყოფს სკოლაში გადმოსული მოსწავლეებისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის, დაგეგმილი აქტივობების, შინაგანაწესის, მოსწავლეთა უფლებების და მოვალეობების გაცნობას.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**
   მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. როგორც დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა სკოლის გავრცელებული პრაქტიკაა მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე დამატებითი შეხვედრების, რემედიაციის გაკვეთილების ორგანიზება. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის კონსულტირება.
   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე შეფასდა სკოლის მიერ მოსწავლეთა კანონით განსაზღვრული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფის პრაქტიკა. შეფასების ფარგლებში შემოწმდა მოსწავლეთა მობილობის ვადებისა და პროცედურების დაცვა. დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეთა მობილობის პროცესის განხორციელებისას სრულად იცავს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს ყველა განხილულ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყო თანაბარი მიდგომა და პროცედურული სიზუსტე. სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილია ისგ ჯგუფები და შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც უზრუნველყოფს მათთვის საჭირო მხარდაჭერას სწავლების პროცესში. გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის დროულ და სრულ ინფორმირებას შემდეგ საკითხებზე:სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები,

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა სწავლა/ სწავლების და აღზრდის პროცესს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება, რაც მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის (შესაბამისი საგნის მასწავლებლების) მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სკოლაში ფუნქციონირებს თეატრალური დასი, ეკოლოგიური კლუბი, ინგლისურენოვანი კლუბი, კინოსტუდიის კლუბი, საფეხბურთო კლუბი. მოსწავლეები აქტიურად ჩართულები არიან შიდა სასკოლო და რაიონულ სპორტულ ღონისძიებებში. ტარდება ინტელექტუალური თამაშები სკოლის მასშტაბით ,,ტვინების ბრძოლა“, „რა სად როდის“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა მოსწავლეთა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე ცდილობს გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და მათი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობას. სკოლის მმართველობით პროცესში მონაწილეობენ სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლები (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი), რაც აძლიერებს გადაწყვეტილებების მიღების ინკლუზიურობას. დამრიგებლის პორტფოლიოში არსებული ანკეტების მეშვეობით ხორციელდება მშობლების გამოკითხვა, რაც ითვალისწინებს მათი ინტერესებისა და ინიციატივების განხილვას. ანკეტა ეხმარება სკოლას და პედაგოგს ინფორმაციის მიღებაში

შემდეგ საკითხებზე: სასურველი სასკოლო ღონისძიებები მშობელთა მონაწილეობით, მონაწილეობის ფორმები, რეკომენდებული ექსკურსიები, სასურველი თემები „კლასის საათებზე“, ასევე ტრადიციები, რომელთა დამკვიდრებას მშობლები უპირატესობას მიანიჭებდნენ ბავშვთა სოციალიზაციის ხელშესაწყობად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამრიგებლის პორთფოლიო;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- Eschool-ის ბაზა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

   სადამრიგებლო საათზე მასწავლებლების მიერ განხილული თემები (მაგ., ჩემი მომავალი პროფესია და სხვა), მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის პროცესში. აღნიშნული შეხვედრები უზრუნველყოფს მოზარდებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა პროფესიებისა და კარიერული შესაძლებლობების შესახებ, რაც ეხმარება მათ საკუთარი ინტერესებისა და უნარების სწორად შეფასებაში. სკოლა/დამრიგებლები ამ გზით ხელს უწყობენ მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას შრომის ბაზრის მოთხოვნების, განათლების სისტემის შესაძლებლობებისა და საკუთარი პროფესიული ინტერესების აღმოჩენის კუთხით. შესაბამისად, სადამრიგებლო საათზე განიხილული თემები უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას, რაც მნიშვნელოვანია მოტივირებული, ინფორმირებული და მომავლისთვის მზად მყოფი თაობის აღზრდისთვის. პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და მოსწავლეებში პროფესიული უნარების განივთარების მიზნით სკოლის პრაქტიკაა თანამშრომლობა კოლეჯებთან და მოსწავლეებისათვის სასერტიფიკატო კურსების შეთავაზება.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა ცდილობს მუდმივად უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერ წარმომადგენლების ინფორმირებულობა ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ამისთვის მისი დამკვიდრებულ პრაქტიკაა სკოლის ფოიეში ხელმისაწვდომ ადგილას სხვადასხვა პროფ. სასწავლებლებისა და უმაღლესების საინფორმაციო ბროშურების თვალსაჩინოდა გამოკვრა. განახლებული და სანდო ინფორმაციის სისტემატური მიწოდება ხელს უწყობს მოსწავლეებს სწორად დაგეგმონ მომავალი პროფესიული ან/და საგანმანათლებლო პროცესი. ეს პროცესი მოიცავს განათლების გაგრძელების შესაძლო გზებს, პროფესიული განათლების პროგრამებს, უმაღლესი სასწავლებლების არჩევანსა და შრომის ბაზრის ტენდენციებს. აღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვანია მოსწავლეთა გააზრებული არჩევანისა და მათი წარმატებული კარიერული განვითარებისთვის, რაც საბოლოოდ აძლიერებს განათლების ხარისხს და უზრუნველყოფს მოტივირებული თაობის ჩამოყალიბებას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**
სკოლის დირექციასთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლა მასპინძლობს სხვადასხვა უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების, ასევე სამხედრო ლიცეუმის წარმომადგენლებს, რომლებიც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს აცნობენ სწავლების მიმართულებებსა და პრიორიტეტებს. აღნიშნული აქტივობები ხაზს უსვამს სკოლის მზადყოფნასა და მზაობას, უპასუხოს მოსწავლეთა ინტერესებს და უზრუნველყოს მათთვის ინფორმირებული არჩევანის შესაძლებლობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი კოლეჯ „ჰორიზონტთან“;
- დამრიგებლის პორთფოლიო;
- სადამრიგებლო გეგმები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას ჩამოყალიბებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია განმარტება, თუ ვინ შეიძლება მიეკუთვნოს სსსმ მოსწავლეთა კატეგორიას. განსაზღვრულია შესაბამისი სტრუქტურები და პროცედურები, მათ შორის: სსსმ მოსწავლისთვის ისგ ჯგუფების ფორმირება დირექტორის ბრძანების საფუძველზე და ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის (ისგ) შემუშავება, სსსმ მოსწავლის შეფასებისა და გაცდენების აღრიცხვის წესები.

სკოლის დირექციასთან და სპეციალურ მასწავლებელთან გასაუბრებით, ასევე არსებული პრაქტიკის ანალიზი (ინდგეგმები, ისგ ჯგუფების ოქმები და სხვა) ადასტურებს, რომ სკოლა წარმატებით იყენებს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გეგმებს (ისგ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში. ისგ-ის შემუშავება და განხორციელება ეფუძნება მოსწავლის უნიკალურ საჭიროებებს და მოიცავს მრავალმხრივ შეფასებასა და მიზანმიმართულ მხარდაჭერას.

რჩევა: სასურველია, სკოლამ დეტალურად განსაზღვროს სსსმ მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირების პროცედურები და მათი პირველადი მართვის მექანიზმები. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების დროულად გამოვლენასა და ეფექტიან საპასუხო ღონისძიებების გატარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიც შედიან როგორც პედაგოგები, ასევე მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა აქტიურ ჩართულობასა და თანამშრომლობას. ეს მექანიზმი ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის განვითარების სრულფასოვან მხარდაჭერას, პროგრესის მონიტორინგს და სწავლების პროცესის სისტემურ გაუმჯობესებას სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით. სკოლა უზრუნველყოფს მშობლებთან რეგულარულ კომუნიკაციას. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი როგორც შვილის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებასა და გადახედვაში, ასევე მისი აკადემიური და სოციალურ-ემოციური წინსვლის პროცესის მონიტორინგში. ისგ ჯგუფი ატარებს პერიოდულ შეხვედრებს, რომელთა ფარგლებში ხდება მოსწავლის საჭიროებების, პერსპექტივებისა და არსებული გამოწვევების განხილვა. სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების ანალიზს და მათი საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- ინდგეგმები;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- მონიტორინგის ჯგუფის ოქმი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლა ჩართულია „მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების '' პროგრამაში. მომსახურების შემსყიდველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. სკოლა აწარმოებს ტრანსპორტით მომსახურებაზე სახელმწიფო შეყიდვების ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმის ტაბელს.

   სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით, ნებაყოფლობითი ხასიათის შემდეგ მომსახურეობებს: თეატრალური დასი, ეკოლოგიური კლუბი „აკომოდი", ინგლისურენოვანი კლუბი „Drama Club", კინოსტუდიის კლუბი, საფეხბურთო კლუბი „ურეკი".

   მომავალში სკოლს გეგმავს უზრუნველყოს მოსწავლეების კვების სერვისითაც კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა ტრანსპორტირება და საკლუბო მუშაობაში ჩართვა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით,მშობელთა /კანონიერ წარმომადგენელთა თანხმობით.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ შეთვაზებული დამატებითი მომსახურება, კლუბების სახით, ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდების შესახებ N22 (ტრანსპორტით მომსახურებაზე)

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (**დაწყებითი** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კათედრაზე საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყო ამავე კათედრის თითოეული პედაგოგი. მათ ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადების მიერ და დაფუძნებულია ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტებზე. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე მათ წარმოადგინეს თავიანთი ინდივიდუალური ხედვა, განსაზღვრულ იქნა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები და მასთან მიმართებაში ჩამოყალიბდა მოკლევადიანი მიზნები, შეარჩიეს კომპლექსური დავალებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არაფორმალურ განათლებას, როგორიცაა პროექტებით სწავლება და სასკოლო და კლასგარეშე აქტივობები. კურიკულუმის შექმნა ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპებსა და მოსწავლეზე ორიენტირებულ საგნმანათლებლო პარადიგმას. კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ რა მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი დაბალია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას.

როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა გონივრულად, თანაბრად და ეფექტურად. რაც შეეხება, მშობლებს, მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში.

გარადა ამისა, სხვა კათედრებთან ჰქონდათ კომუნიკაცია კომპლექსური დავალებების რაოდენობების შესახებ, რათა დაბალანსებული ყოფილიყო კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების რაოდენობა. ამ მთლიანი პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია, რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედეგები სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

სკოლას მიეცა რჩევა:

სასურველია კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინტერესების გასათვალისწინებად გამოყენებული იქნას გამოკითხვის მეთოდი. ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

როგორც სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. კურიკულუმის თემების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ინდივიდუალური

შესაძლებლობები, გაზიარებულ იქნა გასული წლების გამოცდილება და პრაქტიკა. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო გეგმაში, პედ. საბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმი შედგენილია წინასწარ განსაზღვრული კონცეპტუალური გეგმის შესაბამისად. კათედრების მიერ გუნდურად შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა არის სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული მოსწავლეების განვითარების პროცესის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ფორმალური და არაფორმალური კომპონენტების გამოყენებით თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას. ინტერვიურებისას ასევე დადასტურდა, რომ მასწავლებლები მიმართავენ დიფერენცირებულ მიდგომებს და ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს, მიღწევის დონეს, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასწავლო წლის დასაწყისში კათედრები კლასის მშობელთა კრებაზე აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს დამტკიცებულ კურიკულუმებს; ასევე, სკოლა იყენებს teams-ის პლატფორმას და სოციალურ ქსელებს. მასწავლებლები უზიარებენ მშობლებს დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებს, აცნობენ კომპლექსური დავალების ბარათებს. ინტერვიუზე აღინიშნა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წლის განმავლობაში ტარდება მშობელთა კრებები მათი ინფორმირების მიზნით. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის მაგალითად, უცხოური ენების საფეხურის კურიკულუმი, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები. **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პირველ თავში ვკითხულობთ: „თითოეული მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობების გამოვლინებით სასწავლო პროცესის ხარისხზე ორიენტირებით წარმართვა. ჩვენ მივისწრაფვით მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის.“ საბუნებისმეტყველო კურიკულუმებში კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება რა გრძელვადიან მიზნებზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა. სასურველია** ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გადაიხედოს მე-5 და მე-6 კლასის ბუნებისმეტყველების საგნის კუკულუმების სამუშაო ვერსიები, რათა დაზუსტდეს სავალდებულო თემები და ქვეცნებები. **საბაზო საფეხურზე** ბიოლოგიის საგნის კურიკულუმების სამუშაო ვერსიებში არის მცირე უზუსტობები: მე-7 კლასში თემად ზედმეტად ასახულია „უჯრედი“; მე-8 კლასში სამიზნე ცნებად წერია „კვლევა“ , ხოლო მე-9 და მე-10 კლასებში ყველა სამიზნე ცნება არაა ასახული. რაც შეეხება ფიზიკის საგნის კურიკულუმებს თემებად ჩაწერილია სახელმძღვანელოს თავები. ამიტომ, სასურველია კიდევ ერთხელ გადაიხედოს აღნიშნული დოკუმენტები სრულყოფილი სახის მისაღებად. საშუალო საფეხურზე მე-11 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში, თემაში - „ევოლუცია“ გამორჩენილია სამიზნე ცნება „ჯანმრთელობა და დაავადებები“. ფიზიკის საგნის კურიკულუმებში კი თემებად ასახულია სახელმძღვანელოს თავები. 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები ბიოლოგიის საგანის კურიკულუმებში, ხოლო ფიზიკის საგნის კუთხით გადაიხედოს საგნობრივი სტანდარტი და სწორად აისახოს სამიზნე ცნებები, თანამდევი ქვეცნებები და შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) სამივე საფეხურზე არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვისა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ შემოქმედებითი ბუნების დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ძირითად წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალში, უკეთეს გარემოში (იგულისხმებოდა განახლებული ინფრასტრუქტურა და წლების შემდგომ, მშობლიურ გარემოში დაბრუნება), უკეთ განავითარებენ მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს. გაუჭირდათ, გრძელვადიანი მიზნების ჩამოყალიბება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც აისახება სასწავლო პროცესის ყველა ასპექტში. კურიკულუმი უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებმა შეიძინონ ოთხივე ენობრივი კომპეტენცია – მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა – იმ დონეზე, რაც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით თითოეული კლასისა და საფეხურისთვის. გამოყენებული სასწავლო მასალები, აქტივობები და შეფასების მეთოდები მორგებულია ესგ-ის პრინციპებზე, რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციური უნარებისა და კულტურათაშორისი ცნობიერების განვითარებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლა პერიოდულად ახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგსა და განახლებას ესგ-ის შესაძლო ცვლილებებისა და თანამედროვე მეთოდოლოგიური მიღწევების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ განვითარებასა და ეფექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ურეკის საჯარო სკოლის ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში შემუშავებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას და მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას ემსახურება; წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა სწავლა სწავლების საფუძველზე მყარი დინამიკური ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და

	შრომისუნარიანობის განვითარებას. სკოლის მიერ გაზიარებული დოკუმენტებისა და დამატებით მოთხოვნილი მასალების შესწავლის საფუძველზე, ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე იკვეთება, რომ კურიკულუმის შინაარსი და კურიკულუმის თანახმად განხორციელებული პრაქტიკა წარმოადგენს მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებსა და განვითარებაზე ორიენტირებულ დოკუმნეტს/ინსტრუმენტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კლასების კურიკულუმი შემუშავებულია გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოებში შევსებული და წარმოდგენილი აქვთ 2-2 კომპლექსური ტიპის დავალება. მასწავლებლებლებმა თავად გააჟღერეს, რომ 6 სამიზნე ცნების, სავალდებულო თემატური ბლოკისა და სავალდებულო ნაწარმოებების დასაფარად საკმარისი არ არის. განაცხადის წარდგენიდან ვიზიტამდე გააგრძელეს კურიკულუმის ჩარჩოებზე მუშაობა და 2025-2026 წლისთვის სრულად **შეავსებენ.** იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. შედარებით მკრთალად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. ავტორიზაციის მაძიებლის განაცხადის შემოტანის ეტაპზე სკოლსა ე.წ. კურიკულუმის ჩარჩოებში ცალკეული გრაფა მცირე უზუსტობებით ჰქონდა წარმოდგენილი. ვიზიტისას და დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში **საბაზო საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოები სრულად აქვთ შევსებული. წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური ტიპის დავალება.** **რჩევა.** დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში დასახვეწია ,,საკითხის“ და ,,დავალების პირობის“ გრაფა. საურველია, საგნობრივი ჯგუფი I-IV კლასების ფარგლებში შეთანხმდეს კურიკულუმის ერთიან დიზაინზე და კურიკულუმში შესაბამის გრაფა დაასათაურეს, როგორც ,,დავალების იდეა“, ,,დავალების პირობა“ ან ,,შუალედური მიზანი“ **საბაზო საფეხური.** 2025-2026 სასწავლო წლისთვის სკოლამ უნდა გააგრძელოს კურიკულუმის დახვეწაზე მუშაობა. სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში სვეტის/გრაფის სახელწოდება ,,კომპლექსური ბუნების დავალება“ შეიცვალოს ტერმინით **,,შუალედური მიზანი“.** საბაზო საფეხურზე ნათლად გამოკვეთოს შემდეგი მოთხოვნები: სამიზნე ცნებები, თემატური ბლოკი, სავალდებულო ნაწარმოებების შესწავლის საკითხი. მაგალითისთვის: საბაზო საფეხურის კურიკულუმებში არ არის გამოკვეთილი თემატური ბლოკი. მითითებულია მხოლოდ თემები.

მათემატიკა	კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით. კურიკულუმში არის კომპლექსური დავალებების იდეები, რომლებიც საინტერესო კონტექსტებს სთავაზობს მოსწავლეს და სასწავლო პროცესის აქტიურ მონაწილედ აქცევს. დავალების იდეები მარტივია და მოსწავლის ასაკობრივ შესაძლებლობებზეა გათვლილი. **რჩევა. დაწყებით კლასებში** მომავალი სასწავლი წლის კურიკულუმების შედგენისას გასათვალისწინებელია, რომ კურიკულუმები ყველა კლასისთვის ერთნაირი ფორმატით იყოს წარმოდგენილი. **საბაზო საფეხური.** მომავალი სასწავლი წლის კურიკულუმების შედგენისას გასათვალისწინებელია, რომ საბაზო (IX კლასი) საფეხურზე კურიკულუმში შეიტანონ კომპლექსური ტიპის მხოლოდ ის დავალებები, რომლის განხორციელებასაც დაგეგმავენ სასწავლო პროცესში. **საშუალო საფეხური**. მომავალი სასწავლი წლის კურიკულუმების შედგენისას გასათვალისწინებელია, რომ საშუალო (XII კლასი) საფეხურზე კურიკულუმში შეიტანონ კომპლექსური ტიპის მხოლოდ ის დავალებები, რომლის განხორციელებასაც დაგეგმავენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმი დაფუძნებულია ესგ - ს და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება მოსწავლის ინტერესებს, უნარებსა და პროფესიულ მიზნებს. მოიცავს პრაქტიკულ, პროექტებზე დაფუძნებულ აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს რეალურ სამუშაო სიტუაციებთან დაახლოებას. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ციფრული რესურსების გამოყენება, რაც აძლიერებს მოსწავლის ჩართულობას, ინოვაციურ და კრიტიკულ აზროვნებას, ეს აუცილებელია ტექნოლოგიურ სფეროში წარმატებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საავტორიზაციო დოკუმენტაციებში წარმოდგენილ საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში იკვეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, ასევე მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. საგნობრივ კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება, კლუბური მუშაობა (ეკოკლუბი „აკომოდი“), პროექტული სწავლება და არაფორმალური აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებისყოფა) გააქტიურებას, წახალისებასა და გაცნობიერებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული შემოქმედებითი ბუნების დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამიზნე ცნება ან არასწორად არის მითითებული, ან გამორჩენილია. რჩევა - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში „მე და საზოგადოება“ სასურველია, გამოჩნდეს, თუ

	რომელი სამიზნე ცნება, რომელი საკითხით დამუშავდება; „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმში სასურველია, თითოეულ თემაში ზუსტად მიეთითოს ყველა სამიზნე ცნება, ხოლო შეფასების ინდაქსი სასურველია, შესწორდეს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად. საბაზო საფეხურის მე-7, მე-8, კლასების „გეოგრაფიის“ კურიკულუმში, სასურველია ამოიშალოს სამიზნე ცნება: „გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი“; საგან „ისტორიის“ საბაზო საფეხურის კურიკულუმშიც სასურველია, შედეგების ინდექსი შეიცვალოს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად; საგან: „მოქალაქეობის“ მე-8 კლასის კურიკულუმში, სასურველია, ჩასწორდეს სამიზნე ცნებები: „ინიციატივა და მეწარმეობა“ და „სოციალიზაცია“, ხოლო მე-9 კლასის კურიკულუმში, სამიზნე ცნებები სასურველია შეიცვალოს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად. **საშუალო საფეხურზე** სასურველია კურიკულუმები შეიქმნას კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობით, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, ყველა საგანში: „ისტორია“, „საქართველოს ისტორია“, „გეოგრაფია“ და „სამოქალაქო განათლება“. თითოეულ თემაში სასურველია, დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება მოქმედი სტანდარტის შესაბამისად და ასევე სასურველია, კურიკულუმებში აისახოს ახალი შედეგების ინდექსი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მოსწავლეებში იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, რომლებსაც ესგ მოითხოვს. კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომებიც, რაც საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს, მიაღწიოს ესგ-ით დასახულ შედეგებს საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს ეროვნული სასწავლო გეგმის ფილოსოფიისა და პრაქტიკული მოთხოვნების განხორციელებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ესთეტიკური აღზრდის კათედრის საგნობრივი დისციპლინები - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება/ცნებები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის მაქსიმალური ჩართვა პროცესში და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ.

	ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლების მიერ გაწერილი შუალედური მიზნები მიემართება გრძელვადიანი მიზნების მიღწევისაკენ. დაწყებითი და საბაზო საფეხურები ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტით დადგენილ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, ხოლო საშუალო საფეხურზე - პრიორიტეტულ მიმართულებებზე (მაკროცნებები) ორიენტირებულ სავალდებულო პროექტების განხორციელებას. რჩევა სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში გრძელვადიანი მიზნის **მისაღწევად დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტის შესრულების საფუძველზე სრულყოფილად შესრულებისათვის მოხდეს სწორად გადანაწილება კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტებისა. ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია და ცხრილში არასრულყოფილად გაწერილი თემები, საკითხები, ცნებები, კომპლექსური დაავალებები და შესაბამისად გამოყენებული რესურსები. **სასურველია მუსიკასა** და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანებში გადაიხედოს დაწყებითი, საფეხურის კურიკულუმები და გამოიკვეთოს ყველა სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, რესურსები, რაც უზრუნველყოფს საბოლოო შედეგს. **საბაზო და საშუალო საფეხურზე.**სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად საბაზო საფეხურზე კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტის შესრულების საფუძველზე სრულყოფილად შესრულებისათვის მოხდეს სწორად გადანაწილება კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი პროდუქტებისა. ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია და ცხრილში არასრულყოფილად გაწერილი თემები, საკითხები, ცნებები, კომპლექსური დაავალებები და შესაბამისად გამოყენებული რესურსები. მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანებში გადაიხედოს საბაზო საფეხურის კურიკულუმები და გამოიკვეთოს ყველა სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, რესურსები, რაც უზრუნველყოფს საბოლოო შედეგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კომპლექსური ტიპის დავალება. სამივე საფეხურის მტკიცებულებებიდან იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია

	კურიკულუმსა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის უნარებს შორის. სასურველია, საგნობრივმა ჯგუფმა ჩაასწოროს **საბაზო საფეხურის** კურიკულუმში ცალკეული უზუსტობები. მაგალითისთვის: მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმში ჩარჩენილი იყო სტრატეგიები, რომელიც ამ ეტაპისთის სამიზნე ცნებად არ განიხილება. კონტექსტმაგალითების გრაფაში ძირითად კონტექსტ-მაგალითად ხშირ შემთხვევაში ჩამოწერილია 4-5 ნაწარმოები, რაც არარელევანტურია. ძირითადი კონტექსტმაგალითი უმეტესად არის ერთი ნაწარმოები, რომელსაც უშუალოდ ეფუძნება დავალება. დავალების პირობაში მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს სამიზნე ცნება/ცნებები. სასურველია, კურიკულუმში თემატური ბლოკების მიხედვით გაიფილტროს სამიზნე ცნენები და დარჩეს მხოლოდ ის გრძელვადიანი მიზნები, რომელსაც რეალურად ფარავს დავალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები. სამივე საფეხურის კურიკულუმს თან ერთვის შუალედური მიზნის მისაღწევად შემოქმედებითი პროდუქტის აღწერილობა, განსაზღვრული აქტივობებით და კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შაბლონი სამიზნე ცნებების მიხედვით, ასევე, კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკის შეფასების ინსტრუმენტები, პირველი რუბრიკა აფასებს მოსწავლეთა ჩართულობას, მეორე - სკოლის დონეზე ამოწმებს მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხს სამი დონის (ექსპერტი, ექსპერტობისკენ მიმავალი და დამწყები) მიხედვით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ყველა ამ ინსტრუმენტის შეფასების შედეგებს გამოიყენებენ მომავალი წლის კურიკულუმების დასაგეგმად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასა და საგნობრივი საფეხურეობრივი სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად. ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, სამიზნე ცნებებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან.

ტექნოლოგიები	ვიზიტის დროს წარმოდგენილი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, რაც ხელს უწყობს ზოგადი კომპეტენციების თანმიმდევრულ განვითარებას და მოტივაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, შეესაბამება გაკვეთილის მიზანს, განაპირობებს მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას. ასევე, მოსწავლეებს ეძლევათ საკითხის უკეთ აღქმის, გააზრებისა და განზოგადების საშუალება. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება უკეთესი შედეგიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, ძირითადად, გრიფირებული სახელმძღვანელოები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო რუკები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო რესურსები, სრულად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ უცხოური ენის სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული. ეს მიიღწევა რესურსების მრავალფეროვნებით, ხელმისაწვდომობით და მათი მიზანმიმართული გამოყენებით სასწავლო პროცესში. სკოლა უზრუნველყოფს ესგ-ის მოთხოვნებთან შესაბამის, თანამედროვე და მრავალფეროვან სასწავლო მასალებს. ეს მოიცავს არა მხოლოდ ძირითად სახელმძღვანელოებს, არამედ დამატებით რესურსებსაც, როგორიცაა: აუდიო და ვიდეო მასალები: ენის მოსმენითი კომპეტენციის განვითარებისთვის. ინტერაქტიული ციფრული რესურსები: ონლაინ პლატფორმები, საგანმანათლებლო თამაშები, აპლიკაციები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სახალისო ფორმით გაიღრმავონ ცოდნა. სადემონსტრაციო მასალები: პლაკატები, ფლეშ-ბარათები, რომლებიც ვიზუალურ მხარდაჭერას უწევს სწავლას. სკოლა აღჭურვილია აუცილებელი ტექნიკით, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, გამოიყენონ თანამედროვე მეთოდები და მოსწავლეებსაც აძლევს წვდომას ელექტრონულ რესურსებზე. კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგები, რომლებიც ფლობენ თანამედროვე სწავლების მეთოდებს და შეუძლიათ ეფექტურად გამოიყენონ არსებული რესურსები მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად და მათი ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამ რესურსების კომპლექსური გამოყენება ხელს უწყობს პრაქტიკულ მეტყველებას, მოსმენას, კითხვასა და წერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმების შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ სკოლა ძირითადად ეყრდნობა სამინისტროს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (მუსიკა, სახ. და გამოყენებითი ხელოვნება), თუმცა რიგ შემთხვევაში არ არის მკაფიო და დეტალურად გაწერილი კურიკულუმებში -რესურსების სვეტში რა ტიპის დამხმარე/დამატებით რესურსებს იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში, რაზედაც ინტერვიუს დროს მასწავლებლებს მიეცათ მითითება. საერთო ჯამში კურიკულუმებით გათვალისწინებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სასწავლო რესურსების სვეტში თემასთან და საკითხთან მიმართებაში არ არის მითითებული გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან გვერდები. სასურველია, სამინისტროს მიერ

	შემუშავებული რესურსების ან დამატებით გამოყენებული მასალის დაკონკრეტებით გაწერა ცხრილში. კარგი იქნება, თუ მასწავლებლები უფრო მრავალფეროვან რესურსებს გამოიყენებენ სასწავლო მიზნებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კლასების მიხედვით მითითებულია კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ცალკეული კლასის კურიკულუმში ბმულების სახით ჩაშენებულია დამხმარე რესურსებიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმში ასახულია რესურსები, როგორც ძირითადი, გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ჩაშენებულია ლინკების სახით, მათ შორისაა საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნვეყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით და ელექტრონული რესურსი ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე. თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა უზრუნველყოფს პრაქტიკულ და გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებას. კოლის მიერ ნაჩვენები რესურსები ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრამ დამატებით დოკუმენტაციაში ასახა შემუშავებული დიფერენცირებული სწავლების გეგმა ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის საგნებში. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი: • დიფერენცირებული სწავლების მიზნები; • დიფერენცირებული მიდგომის ფორმები; • მოსწავლეთა დონეების იდენტიფიცირება; • შეფასების კრიტერიუმები; • დასკვნა და რეკომენდაციები. დიფერენცირებულ მიდგომებზე წერს მასწავლებელი გაკვეთილის თვითშეფასებაშიც: „სასწავლო პროცესში მოსწავლეების შეფერხების დროს ვუბრუნდებოდი საკითხს და ვიყენებდი დიფერენცირებულ მიდგომას.“ სკოლის მასალებში წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი საბუნებისმეტყველო საგნებში დაგეგმილია და წარიმართება მოსწავლეების ინტერესების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამის დასტურია კომპლექსური დავალებების იდეები. კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს შემოქმედებითი პროდუქტის ფორმის არჩევის შესაძლებლობას. მაგალითად, დავალების პირობებში ვკითხულობთ: • ნაშრომი წარმოადგინეთ პოსტერის/ბუკლეტის სახით; • საილუსტრაციოდ წარმოადგინეთ კოგნიტური სქემა, ან პოსტერი (ფლიპჩარტზ ელექტრონული ვერსია), კომიქსი ან სიმულაციური თამაში;

	• ილუსტრირებული ალბომის შექმნა, ელექტრონული ან მატერიალური სახით, სადაც სქემატურად, ანალიზურად და გრაფიკულად იქნება ასახული სითბური ფრანის მოძრაობის ფიზიკური მექანიზმი („სითბური ფრანი“). გარდა ამისა, ინტერვიუს დროს საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებელმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ ისინი მოდიფიცირებას უკეთებენ აქტივობებსა და დავალებებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. შედეგად, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინება ხდება მოსწავლეთა ინტერესების. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის სასწავლო პროცესი უცხოური ენების სწავლების მიმართულებით სრულად ინკლუზიურია და ეფექტურად ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებსა და ტექნიკებს, რათა დააკმაყოფილონ მოსწავლეთა განსხვავებული სასწავლო სტილი (ვიზუალური, აუდიტორული, კინესთეტიკური). ეს მოიცავს ჯგუფურ მუშაობას, წყვილებში მუშაობას, ინდივიდუალურ დავალებებს, თამაშებს, პროექტულ სწავლებას და როლურ თამაშებს. მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა სირთულის დავალებები. შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესს. ამ მიდგომების ერთობლივი გამოყენება უზრუნველყოფს, რომ უცხოური ენების გაკვეთილები იყოს პროდუქტიული და ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისთვის.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მათი ხედვა დიფერენცირებულ მიდგომებთან დაკავშირებით. პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესი მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ფიზიკურ შესაძლებლობებს. გასაუბრების დროს აღინიშნა რამდენიმე მაგალითი დავალებისა და აქტივობების ადაპტირებისა. რამდენიმე დავალების პირობაში მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა აერჩიათ შესაქმნელი პროდუქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შუალედური მიზნებზე მუშაობისას ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ მოდიფიცირებას. ასევე, აქვთ ინდივიდუალური გეგმით მუშაობის გამოცდილება. გასაუბრებისას წარმოადგინეს სპეცმასწავლებელთან ერთად შემუშავებული ინდ.გეგმა ასევე ცალკეული მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროების გათვალისწინებით რედაქტირებული შუალედური მიზანი (კურიკულუმის ადაპტირება) მსგავსი ტიპის გამოცდილება დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტებში მაგ; ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	ინტერვიუს მიხედვით, მასწავლებლები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, რის საფუძველზეც ახდენენ დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას აღმოჩნდა რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს. სკოლაში ჰყავთ 5 სსსმ მოსწავლეც, რომლისთვისაც შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იყო. პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს სკოლის გვერდზე განხორციელებული აქტივობები, სადაც ნათლად ჩანს ამ ბავშვების აქტიური ჩათულობა, სხვადასხვა მიმართულებით

	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და უზრუნველყოფს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც მნიშვნელოვანია. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა ისაუბრა ინდივიდუალურ მიდგომებზე, დავალებების მოდიფიცირებაზე და წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა ისწავლონ ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მათი შესაძლებლობის ფარგლებში. აქვთ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილებაც, შესაბამისად სპეცმასწავლებელთან ერთად, საგნის მასწავლებელთან თანამშრომლობით ადგენენ ისგ-ს, შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში სწავლა სწავლების პროცესში დასახული მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა; აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება უკავშირდებოდეს არა მხოლოდ სწავლის შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით მოსწავლეთა სწავლის პროცესის შეფასება, ცოდნის თვითშეფასებისა და მეტაკოგნიტური აზროვნების ხელშეწყობა დიაგნოსტიკურ შეფასებასთან

	ერთად განაპირობებს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამივე საფეხურზე სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას მასწავლებელს, დაინახოს მოსწავლის პროგრესი, ასევე, მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. კომპლექსურ დავალებებებზე მუშაობის პროცესსა და შედეგს აფასებენ კონკრეტული დავალებისთვის შექმნილი შეფასების სქემებით. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები. რაც შეეხება სადიაგნოსტიკო წერებს, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას არჩეული აქვს, შეფასების მეორე ინსტრუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა უცხოური ენების სწავლების კონტექსტში სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ეს უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სამართლიანობას, ობიექტურობასა და საგანმანათლებლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულობას. შეფასება მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებსა და გამჭოლ კომპეტენციებს. სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან ფორმებს. მოსწავლეები ჩართულნი არიან საკუთარი და თანატოლების ნამუშევრების შეფასებაში, რაც უვითარებს მათ კრიტიკულ აზროვნებასა და პასუხისმგებლობას საკუთარი სწავლის მიმართ. შეფასება ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც წინასწარ ეცნობება მოსწავლეებს. ეს უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ობიექტურობას შეფასების პროცესში. შეფასების სისტემა საშუალებას იძლევა, დაფიქსირდეს მოსწავლის პროგრესი დროთა განმავლობაში, რაც ხელს უწყობს მოტივაციის შენარჩუნებას და სასწავლო პროცესის ეფექტურობის ანალიზს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს და იძლევა საგნობრივი სტანდარტებით დადგენილი მოკლევადიანი/გრძელვადიანი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. შეფასების რუბრიკები უფრო მეტად ზოგადი ხასიათისა, რამოდენიმე დოკუმენტში არ არის თვალსაჩინოდ გამოყოფილი სამიზნე ცნებები და დავალებების შესაბამისობა კურიკულუმთან. ზოგიერთ რუბრიკას სრულყოფილად არ ახლავს სამიზნე ცნებები. თუმცა, ინტერვიუს დროს მითითების საფუძველზე მოთხოვნით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში - კონკრეტული დავალების შეფასების ნიმუშის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. **რჩევა სამივე საფეხურზე** შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგადი ხასიათისაა. მასწავლებლებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები. უმჯობესია, სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაკონკრეტდეს დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებასთან და სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	საფეხურის მიხედვით წარმოდგენილი იყო რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში ორივე სახის შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და ძირითად მეთოდიკურ ორიენტირებს; V-VI კლასების დონეზე ბუნდოვანი დარჩა განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება V-XII კლასების მოსწავლეების მიღწევები ფასდება, როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. მეტნაკლებად გამოიკვეთა, როგორ შეიმუშავებს კათედრები განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და ეფუძნება, თუ არა იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლები შედეგების ანალიზის საფუძველზე ხედავენ შეფასების სისტემის ცვლილების აუცილებლობას. სკოლა მშობელთა

	თანხმობითა და პედაგოგიური კოლექტივის მაქსიმალური მხარდაჭერით სასკოლო საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით აპირებს შეფასების სისტემის განახლებას . მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლეებს განმსაზღვრელი შეფასებით აფასებენ სამიზნე ცნებების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრა მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეფასებას ახორციელებს კომპლექსურად, მათ მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები ყველა საფეხურზე. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კომპლექსური დავალებისთვის. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეფუძნება სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში სტანდარტის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. კათედრა დიაგნოსტიკური შეფასებისთვის იყენებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, ანგარიშის ფორმაში აღწერილია მოსწავლეების ტიპური პრობლემები სათანადო მაგალითებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შედეგებს გაითვალისწინებენ კურიკულუმის განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ყველა მათგანი ემყარება საგნობრივ სტანდარტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით შეფასება ეფუძნება როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების გამოვლენას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IV კლ) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება

	გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები
- დიფერენცირებული სწავლების დოკუმენტი;
- მასწავლებლის თვითშეფასება;
- შეფასების რუბრიკები;
- დაწყებითების პროექტი;
- ისგ გეგმა და მონიტორინგის ფორმა
- პედსაბჭოს ოქმი კურიკულუმების შემუშავებაზე;
- პროექტული სწავლების ამსა ხველი მასალა (საშუალო საფეხური)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები (პოზიციები), ჩართული მხარეები, კურიკულუმის დანერგვის პროცესში ჩართული პირების ფუნქციები, ძირითადი პროცესები და ა.შ. მე-7 მუხლში ვკითხულობთ, რომ კათედრის გამგე ვალდებულია უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისათვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად. ჯამში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ეფუძნება სასკოლო კურიკულუმს, რაც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან, პრინციპებთან და სასწავლო შედეგებთან შესაბამისობას. თითოეული კლასისა და უცხოური ენისთვის შემუშავებულია დეტალური სასწავლო პროგრამები, რომლებიც სრულად ეფუძნება სასკოლო კურიკულუმს. მკაფიოდ არის განსაზღვრული, თუ რა ცოდნასა და უნარებს უნდა დაეუფლოს მოსწავლე. გაწერილია სასწავლო თემები, დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს ოთხივე ენობრივი კომპეტენციის განვითარებას. აქცენტი კეთდება ინტერაქციულ და პრაქტიკულ სავარჯიშოებზე. სასკოლო

	კურიკულუმი განსაზღვრავს საათების რაოდენობას, რომელიც ეთმობა უცხოური ენების სწავლებას თითოეულ კლასში. მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. ამგვარი სისტემატური დაგეგმვა იძლევა იმის გარანტიას, რომ უცხოური ენის გაკვეთილები არის არა მხოლოდ შინაარსობრივად დატვირთული, არამედ ორგანიზებული და მიზანზე ორიენტირებული, რაც საბოლოოდ განაპირობებს მოსწავლეთა წარმატებულ პროგრესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა აქვთ წარმატებული წინსვლები სკოლაში არაფორმალური განათლების მხრივაც (დრამ კლუბი). სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმის ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი ხედვა: სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება შუალედურ მიზანზე ორიენტირებული დავალების პირობა. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. სამივე საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ, რეალიზებული შუალედური მიზანი და რეფლექსია მათზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, რაც უზრუნველყოფს სწავლის მიზნებისა და შედეგების სისტემურ მიღწევას. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, რაც აძლიერებს მოსწავლის კომპეტენციებს. აქტივობები და შეფასება კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებზეა ორიენტირებული და ეტაპობრივად ავითარებს საჭირო უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დაადასტურეს კათედრის წევრებმა საუბრისას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლისა და დაწესებულების დირექციასთან და თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა, რომ სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის საჭირო იყო მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრული რეაბილიტაცია. არსებული პრობლემის დასაძლევად სკოლამ სწორად იმოქმედა, სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების არსი და რაობა. მასწავლებლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ: • „საკლასო აქტივობის დროს, ნამუშევრების წარდგენისას მოსწავლეებმა შეაფასეს ერთმანეთის ნამუშევრები; • ნაშრომის წარდგენისას თავადვე აღმოაჩინეს შეცდომები და გაასწორეს.“ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სისტემური გამოყენება მოსწავლეებს საკუთარი ცოდნის ობიექტურ შეფასებაში ეხმარება. მრავალფეროვანი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მთავარი ფუნქციაა, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და მათი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	შეფასების მოქმედი სისტემა კონსტრუქციულად აგებულია ისე, რომ უზრუნველყოფს როგორც განვითარებაზე, ისე შედეგზე ორიენტირებულ შეფასებას და ითვალისწინებს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა ცოდნის და უნარების გამოვლენისთვის. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყოფა დიფერენცირებული დავალებები, ადაპტირებული შეფასება ან დამატებითი მხარდაჭერა,

	რაც შეფასებას ამყოფებს სამართლიანობის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე შემავალი საგნების მიერ წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების ნიმუშები (განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები) შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა ნაკლებად იძლევა შეფასების ვალიდურობის, გამჭირვალობის, ობიექტურობის, სანდოობისა და სამართლიანობის დადგენის შესაძლებლობას (გამოირჩევა კრიტერიუმების ზოგადი ფორმულირებით), რაც თავის მხრივ, ეჭქვეშ აყენებს მოსწავლეთა შეფასების სანდოობას და ობიექტურობას. რჩევა. კათედრაზე მომუშავე მასწავლებლებმა **დაწყებით საფეხურზე** შეიმუშაონ რამდენიმე ტიპის რუბრიკა(მაგ. პროექტის, ჯგუფური, ინდივიდუალური ან წყვილებში მუშაობის, შექმნილი/დამზადებული ნამუშევრის შესაფასებლად)- მკაფიოდ განსაზღვრონ კრიტერიუმების რაოდენობა, მიანიჭონ წონადობა და შედეგების საბოლოო შეფასება კონვერტაციის შედეგად გააკეთონ 10 ქულიან სისტემაზე დაყრდნობით. კათედრაზე მომუშავე მასწავლებლებმა საბაზო და საშუალო საფეხურზე შეიმუშაონ რამდენიმე ტიპის რუბრიკა (მაგ. პროექტის, ჯგუფური, ინდივიდუალურიან წყვილებში მუშაობის, შექმნილი/დამზადებული ნამუშევრის შესაფასებლად) - მკაფიოდ განსაზღვრონ კრიტერიუმების რაოდენობა, მიანიჭონ წონადობა და შედეგების საბოლოო შეფასება კონვერტაციის შედეგად გააკეთონ 10 ქულიან სისტემაზე დაყრდნობით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან, ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. საბაზო საფეხურის, კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ბუნდოვანი დარჩა განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. მასწავლებლები აცხადებდნენ, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. V-XII კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით.

	მკაფიოდ არ არის მითითებული, როგორ შეიმუშავებს კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნება იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშავონ. რჩევა. სასურველია, შეფასების რუბრიკებში უფრო მკაფიოდ გამოკვეთოს, რომელ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს მიემართება შეფასება. I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასების, ხოლო V-VI კლასების დონეზე, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი. ორივე ტიპის შეფასების რუბრიკა კონკრეტულ შუალედურ მიზანსა და კონტექსტმაგალითებზე უნდა იყოს მორგებული. ამ კუთხით სკოლამ აქტური მუშაობა უნდა გააგრძელოს. სასურველია, საგნობრივმა ჯგუფმა საბაზო საფეხურზე დახვეწოს როგორც განმავითარებელი, ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. დააკონკრეტოს შუალედური მიზნის კონკრეტული ნაბიჯ-კრიტერიუმებისა და შესასწავლი სავალდებულო ნაწარმოებების მიხედვით სასურველია, საგნობრივმა ჯგუფმა საშუალო საფეხურზე როგორც განმავითარებელ ასევე, განმსაღვრელ შეფასების რუბრიკებში დააკონკრეტოს, რომელ გრძელვადიან მიზანს მიემართება შეფასება. საგნობრივმა ჯგუფმა მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს, თუ რა ფორმით შეიმუშავებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნებიან გრძელვადიან მიზნებს. სამომავლოდ აუცილებლაად უნდა შეიმუშავონ შეფასების მრავალფეროვანი ჰოლისტური სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით მასწავლებელი იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შედეგებზე დაფუძნებულ რუბრიკებს, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის. შეფასების კრიტერიუმებს აცნობენ მოსწავლეებს. კათედრას აქვს მზაობა შექმნას ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც იქნება სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე. **რჩევა. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები მეტად დაკონკრეტდეს კომპლექსური ტიპის დავალების

	კონტექსტთან/თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხების მისაღწევ შედეგებთან მიმართებით. შეფასების ასეთი რუბრიკები ხელს შეუწყობს მასწავლებელს, რომ მოსწავლეების შეფასება გახადოს მეტად გამჭირვალე, ობიექტური, სანდო და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა უზრუნველყოფს რეალურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე დაფუძვნებულ შეფასებას, რაც აისახება მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების გასწორებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის

განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს როგორ აფასებენ მოსწავლეებს და აღწერეს პროცესი თუ როგორ აანალიზებენ მოსწავლეთა შეფასებებს, აღწერეს რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა. მათ ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს.

არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი, დიაგნოსტიკური წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. მომდევნოს სასწავლო წლისთვის კათედრაზე განისაზღვრა, რომ სასწავლო წლის მანძილზე ორჯერ ჩაატარდება დიაგნოსტიკურ შეფასება, განსაზღვრულია საგანთა რაოდენობაც.

სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს, დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრა ვერიფიკაციის მექანიზმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, რომელთაც დაეკისრათ 2025 წლის აპრილის თვეში დამტკიცებული ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით განახორციელონ შესაბამისი სამუშაოები. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები აქციოს წერილობით დოკუმენტად, ამ ეტაპზე გეგმავენ ვერიფიკაციის სასკოლო სისტემის გადახედვას, ვინაიდან, თვლიან, რომ სკოლაში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი საჭიროებს დახვეწას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ **2.2.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. როგორც წლიური, ასევე საფეხურის ნიშნები და საგნის მასწავლებლების ანალიზის საქმის მწარმოებლისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებლი. აღნიშნული ფორმები ინახება ერთ ბაინდერში სკოლის მიერ განსაზღვრულ ადგილზე. ყოველი წლის ბოლოს იწერება ბრძანებები კლასის დაძლევასთან დაკავშირებით დამრიგებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოების და მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციას. სკოლის მიერ დადგენილია შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოებისა და პროექტების შენახვის წესს და ფორმას, რომელიც არის როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება შეფასების აღიცხვა, ხოლო ინფორმაციის და შეფასებების მატერიალურად ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შემაჯამებელი წერის მტკიცებულებები მატერიალური სახით ინახება კათედრაზე, მინიმუმ 3 წლის ვადით. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.2.2.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ 2025. 17.04;
- საგნობრივი კათედრის ოქმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შემაჯამებელი დავალებები/მოსწავლეთა შეფასებები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ;
- საკლუბო მუშაობის ანგარიშები;
- კურიკულუმის ანალიზის ფორმები;
- სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ავტორიზაციის მასალებში სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლამ როგორც თავდაპირველ, ასევე დამატებით დოკუმენტაციაში წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი საბუნებისმეტყველო საგნებში. საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალშია ცხრილის ფორმატში გაწერილია შემდეგი: ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები; ბ) დამხმარე ლიტერატურა; გ) საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა (მათ შორის ელექტრონული). აღნიშნული რესურსები საჭიროებისადა მიხედვით გაწერილია საბუნებისმეტყველო

	საგნის/საგნების კურიკულუმებში. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში გამოკრულია ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოებისა და ქცევის წესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსი, ვიდეო რესურსი, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რუკები, პოსტერები, პლაკატები, რაც დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებით. აღინიშნა ასევე, განახლებული სასკოლო ბიბლიოთეკის არსებობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსებით, რაც მნიშვნელოვანია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მისაღწევად. რესურსების ხელმისაწვდომობა და მათი ეფექტური გამოყენება განაპირობებს სწავლის მაღალ ხარისხს და მოსწავლეთა მოტივაციას. სკოლა იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს. სასწავლო პროცესი გამდიდრებულია დამხმარე მასალებით, რაც ხელს უწყობს ენობრივი უნარების კომპლექსურ განვითარებას. აქტიურად გამოიყენება ენის მოსმენითი კომპეტენციის გასავითარებლი აუდიოჩანაწერები, საგანმანათლებლო ვიდეოები. მასწავლებლები იყენებენ ლინგვისტურ პროგრამებსა და აპლიკაციებს, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სახალისო და ეფექტური გზით შეიძინონ და გაიღრმაონ ცოდნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლები იყენებენ როგორც გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ შეთავაზებულ და კათედრის მიერ შერჩეულ დამხმარე რესურსებს. როგორც მტკიცებულებებზე დაყრდნობით ჩანს და თავად მასწავლებლებმაც აღნიშნეს შეხვედრის დროს, ხშირია სასწავლო მიზნებისთვის თავად მოსწავლეების შექმნილი რესურსების გამოყენებაც (მაგ. ელ. პრეზენტაცია, ვიდეორგოლი, საინფორმაციო ხასიათის პოსტერი/პლაკატი , LMMS -ის პროგრამაში შექმნილი კომპლექსური დავალებები და ა.შ.); **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე თითოეულ კლასში განსაზღვრულია ძირითადი რესურსი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. კლასების მიხედვთ კურიკულუმში მითითებულია დამატებითი რესურსები. სახელმწიფო ენის საგნობრივ ჯგუფი სასწავლო წლის დასაწყისში ერთობლივად განიხილავენ და ათანხმებენ ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის ნუსხას. **ინდიკატორი**

	დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე მითითებულია ძირითადი (გრიფირებული) და დამხმარე რესურსები - სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების ლინკები. ასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს, როგორც საკლასო ოთახებში პროექტორის გამოყენებით, ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა აქტიურად იყენებს ყველა საჭირო რესურს რაც ნათლად ჩანს სასკოლო კურიკულუმებში, სკოლის გვერდზე ატვირთული აქტივობებიდან და სკოლაში განთავსებული პრიზებით, რაც მოიპოვეს სხვადასხვა შეჯიბრებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას. ძირითადი რესურსი ელექტრონული სახელმძღვანელოა, დამხმარე კი ვიდეო გაკვეთილები, პრაქტიკული პროექტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ ოზურგეთის დაბა ურეკის საჯარო სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის № 1 ოქმში ცალკე საკითხადაა განხილული საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვა. ოქმში დეტალურადაა გაწერილი თუ რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა სასწავლო რესურსის შექმნის დროს მას, კონკრეტულად ვკითხულობთ შემდეგს:

	✓ „განსაზღვროს რამდენად უწყობს ხელს რესურსი სწავლის უნარის განვითარებას და ინტეგრირებას, მასალის სიღრმისეულ წვდომას; ✓ დადგინოს ლოგიკური კავშირი გაკვეთილის სასწავლო მიზნებს, აქტივობებს, საგანმანათლებლო რესურსებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის; ✓ რესურსი უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი (გასაგები), სანდო წყაროებიდან მოპოვებული, გარკვეულ სქემას მორგებული და თანმიმდევრული, მოქნილი და ადვილად გასაგები ინსტრუქციით აღჭურვილი.“ განხილული საკითხი არსებითი ორიენტირია დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის. რჩევა. საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სასწავლო რესურსების შეფასების კრიტერიუმები, რაც არსებითი ორიენტირია დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის. 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრის ოქმში ცალკე საკითხად აისახოს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი. გარდა იმ შემთხვევისა, თუ სკოლა შეიმუშავებს ერთ მთლიან დოკუმენტს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ურეკის საჯარო სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს, რომ უცხოური ენების სწავლებისთვის გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსები გაივლის ვალიდაციის პროცესს, რაც გულისხმობს მათ შემოწმებას და დასტურს ესგ-ის მოთხოვნებთან და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობაზე. ეს პროცესი გადამწყვეტია სასწავლო მასალების ხარისხის, ადეკვატურობისა და ეფექტურობის გარანტირებისთვის. უპირატესობა ენიჭება თანამედროვე, ავთენტურ მასალებს, რომლებიც ასახავს ენის რეალურ გამოყენებას და აქტუალურია მოსწავლეებისთვის. დამხმარე რესურსები ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი თანამედროვე ენის სწავლების მეთოდოლოგიურ პრინციპებს მოწმდება, რომ რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, კრიტიკულ

	აზროვნებას და პრობლემების გადაჭრის უნარებს. განსაკუთრებით ციფრული რესურსების შემთხვევაში, მოწმდება მათი უსაფრთხოება და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომობა, რათა არ არსებობდეს რაიმე შეფერხება სასწავლო პროცესში. ვალიდაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი უცხოური ენების კათედრის წევრები. ამგვარი სისტემატური ვალიდაცია განაპირობებს იმას, რომ სკოლაში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი არის ხარისხიანი, სანდო და ეფექტური, რაც პირდაპირ აისახება მოსწავლეთა მიერ უცხოური ენის წარმატებულ ათვისებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	შესწავლის საფუძველზე კურიკულუმებში მითითებული დამხმარე რესურსები ვალიდურია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან და საგნობრივი სტანდარტით დადგენილ მისაღწევ შედეგებთან. რჩევა სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს რა დამხმარე სახელმძღვანელოებს იყენებენ მასწავლებლები და რომელი თემის ფარგლებში. ასევე კათედრის სხდომის ოქმის დანართში ჩანდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კლასების მიხედვით კურიკულუმში მითითებულია დამხმარე სასწავლო რესურსები. სახელმწიფო ენის საგნობრივ ჯგუფი სასწავლო წლის დასაწყისში ერთობლივად განიხილავენ და ათანხმებენ დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენების საჭიროებას და მიზანმიმართულებას. შემდგომში საგნობრივ ჯგუფის გადაწყვეტილებას წარუდგენენ სკოლის ადმისტრაციას დამხმარე სასწავლო რესურსების ნუსხა/ჩამონათვალის სახით. საბოლოოდ კი ამტკიცებენ საგნობრივი ჯგუფის ოქმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (კათედრის სხდომის ოქმი) ირკვევა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ მოხდა სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსისა და თვალსაჩინოების შერჩევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლაში არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის,

	მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. კურიკულუმში გაწერილი რესურსიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამის რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაბა ურეკის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსები ხელს უწყობენ მოსწავლეებს განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ ოზურგეთის დაბა ურეკის საჯარო სკოლა ახლად აშენებულია და აქვს თანამედროვე სტანდართებით განსაზღვრული კლას-ლაბორატორიები. საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ლაბორატორიაში არსებული რეაქტივები არის ძველი და ესაჭიროება განახლება, რაც გამოსწორებადია. სკოლას ეძლევა რჩევა, საბაზო-საშუალო საფეხურზე, რომ ახალი სასწავლო წლისათვის

	შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში რეაქტივების განახლება-შევსება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლა ახლად გარემონტებულია, რაც სიამაყით აღნიშნეს პედაგოგებმა გასაუბრებისას. სკოლას აქვს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის და ასაკის შესაბამისი ფართი, კომპიუტერები, ლეპტოპები. ეს მატერიალური რესურსი რომელიც სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებშია განთავსებული გამოყენება საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სამივე საფეხურზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე დამხმარე სახელმძღვანელოებს. ასევე სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება გეოგრაფიული და ისტორიული რუკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლა სრულად უზრუნველყოფს, რომ უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ხდება შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყენებით, თანაც მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის მკაცრი დაცვით. ეს ასპექტი გადამწყვეტია სასწავლო პროცესის ეფექტურობისა და ხარისხის შენარჩუნებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და შესაბამისი მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინები. ახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, ბიბლოთეკის წიგნადი ფონდი, კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორი. ამ რესურსს იყენებენ აქტიურად სამივე საფეხურის მასწავლებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის და ასაკის შესაბამისი ფართი, კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორი. ამ რესურსს იყენებენ აქტიურად სამივე საფეხურის მასწავლებლები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. დაბა ურეკის საჯარო სკოლის ტექნოლოგიების ლაბორატორია გამართულია და გათვლილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოიყენოს რესურსი და მიიღოს შესაბამისი განათლება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, სკოლას ჰყავს კომპეტენტური პედაგოგები, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. მათ აქვთ შესაბამისი განათლება და პროფესიული კვალიფიკაცია, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის

ხარისხიან განხორციელებას. სკოლაში დასაქმებულია 5 წამყვანი, 25 უფროსი და 1 უფროსი სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში ყველა საგანს ასწავლის მასწავლებელი, რომელსაც შესაბამისი საგნის გამოცდა აქვს ჩაბარებული. რამდენიმე მასწავლებელს ჩაბარებული აქვს 2 სხვადასხვა საგნის გამოცდა. არის ერთი გამონაკლისი. კერძოდ: დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებით ხელოვნებას ასწავლის განათლების დაწყებითი საფეხურის მქონე მასწავლებელი, რომლებიც წლებია ასწავლის ამ საგანს შესაბამის კლასებში და წელს უკვე დარეგისტრირებულია შესაბამისი საგნის გამოცდაზე.

ხარვეზი. დაწყებით საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებას ასწავლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ, დაწყებით კლასებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების უსტატუსო მასწავლებლის შესაბამისი სტატუსის მქონე პედაგოგით ჩანაცვლების პერიოდი განსაზღვრა 2025 წლის 7 აგვისტოდან 2026 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით. სკოლის პოზიცია გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა, რის საფუძველზეც შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“. გამომდინარე აქედან, დაწყებით საფეხურზე 2.2 კომპონენტის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცალა შეფასებით „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის ოქმები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ;
- საკლუბო მუშაობის ანგარიშები;
- შეფასების რუბრიკები;
- საჯარო სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები.
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

საჯარო სკოლის დოკუმენტის, ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, მიხედვით სასკოლო საზოგადოების წევრების მხრიდან მომავალში დაგეგმილი კურიკულუმის მონიტორინგი აღქმულია არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მასწავლებლები იცნობენ მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს და გამოიყენებენ კურუკულუმის განხორციელების პროცესში შესაძლო აღმოჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ ასევე გეგმავენ მოქნილი ჯგუფის შექმნას, რომელიც ორიენტირებული იქნება, კურიკულუმით განსაზღვრული საქმიანობების მონიტორინგსა და შეფასებაზე. ჯგუფის წევრები იქნებიან დირექციის წარმომომადგენლები და მასწავლებლები. მონიტორინგი მოხდება მინიმუმ სემესტრში ორჯერ, მათ შორის ყოველი სემესტრის ბოლოს. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. **2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო ცხოვრების სასწავლო პროცესში პროცესში ჩართული არის სასკოლო საზოგადოება, რომელთაც წამოჭრილი პრობლემის ნათლად დანახვისა და მისი გადაჭრისათვის დამხმარე ინსტრუმენტად მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტი აქვთ შექმნილი. გაწერილი დოკუმენტის მიხედვით სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, რა გამოუვიდათ უკეთესად, რის განხორციელება ვერ შეძლეს და დაასახელებენ მიზეზებს, რათა ერთად დასახონ პრობლემის გადაჭრის გზა. ეს ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.

სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს კურიკულუმის იმპლემენტაციიის მონიტორინგი. კათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა და საშუალება გათავისებულია მათ მიერ. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ მონიტორინგისათვის შერჩეული და შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებასა და ეფექტურ სასწავლო პროცესს. მასწავლებლებთან პირად საუბარში გაირკვა,რომ სკოლა და კათედრები მუშაობენ ამ მიმართულებით, გეგმავენ მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას კონკრეტულად ამ სეგმენტშიაც. **2.3.1.2 ინდიკატორი ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის მიერ შექმნილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის განვითარებით. აღნიშნული მეთოდოლოგია კიდევ დამუშავების ეტაპზეა. სამომავლოდ აისახება თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მასწავლებლის შიდა შეფასებას.

სკოლას გააზრებული აქვს რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მხარდაჭერას და დახმარებას იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელსაც აწყდებიან კურიკულუმის დანერგვისა თუ განხორციელების პროცესში. მომავლში პედაგოგები კვლავ გეგმავენ ურთიერთდასწრებას, გამოცდილების გაზიარებას, მცირე ჯგუფებში მუშაობას, ერთობლივ აქტივობებს. ყოველივე ეს დაეხმარებათ როგორც მოსწავლეთა ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაში. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მშობელთა ჩართულობას უკუკავშირის მისაღებად. სკოლა და სასკოლო საზოგადოება გამოხატავს მზაობას დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.1.3 ინდიკატორი დამაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტით;
- სკოლის თვითშეფასება;

- საგნობრივი კურიკულუმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლას აქვს საჭიროებაზე მორგებული შეფასების მოდელი. სასკოლო კურიკულუმი ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას, მასწავლებელი ინტეგრირებულად დააკვირდეს პროცესებს და გაითვალიწინოს მრავალმხრივი მონაცემები და მრავალფეროვანი მეთოდით მიიღოს სრული სურათი შეფასებასთან დაკავშირებთ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის, მასწავლებლის დაკვირვებას, ყოველდღიური სასწავლო პროცესის შეფასების დინამიკას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრის ხელმძღვანელის, დამრიგებლის, დირექციის უკუკავშირს. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესში იყენებენ ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების უკუკავშირი, დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა. ამაში მათ ეხმარებათ შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსრუმენტიც. შეფასების შედეგად ირკვევა რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სკოლა მოსწავლეთა შეფასებისთვის გამოიყენებს მრავალფეროვან დავალებებს. შეფასებისას გაითვლალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებს, დროს, გარემოს, წინასწარ ინფორმირების ხარისხს და ა.შ. შეფასება ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვლობას. გათვალიწინებულია სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპები.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციას უზრუნველყოფს საგობრივი კათედრები, დირექტორის მიერ შექმნილი კომისია და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს.გასაუბრებებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასებისას კათედრების წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს. **2.3.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში მნიშვნელოვანია, რომ შეფასების განხორციელების დროს გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. ეს კონტექსტებია: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა და შესაძლებლობა, რომ შეფასება განახორციელონ კონსტრუქტივისტული პრინციპების გამოყენებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების მიხედვით, ცოდნის სამივე კატეგორიის ცოდნის შესაბამისად.

საგნობრივ ურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალების იდეა. კომპლექსური დავალებებით სწავლება კი გულისხმობს მოსწავლეების მზაობის, უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებას. სკოლა, შეფასების მიზნიდან გამომდინარე, ახალი სასწავლო

წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასება აგრეთვე განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესში ძირითადად ითვალისწინებდნენ რამდენიმე კონტექსტს: თანამშრომლობს თუ არა მოსწავლე თანაკლასელებთან წყვილსა და ჯგუფებში, როგორ იყენებს საკლასო სივრცეში არსებულ რესურსებს სასწავლო მიზნებისათვის. ასევე, საშინაო დავალებების წარდგენისას, ჩანს თუ არა ინდივიდუალიზმი, რამდენად ავლენს მოსწავლე ინიციატივას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას. მომავალი სასწავლო წლისთვის მასწავლებლებს აქვთ სრული მზაობა საგაკვეთილო პროცესი განხორციელდეს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება). შესაბამისად შეფასებაც წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკების საშუალებით განხორციელდება; გამოიკვლიონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, დაადგინონ კლასის საჭიროებები. სკოლას ამ მხრივ აქვს სწორი ხედვა. მასწავლებლები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები სწავლის შედეგების თვალსაზრისით და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

2024-2025 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი 1, რომლის მიზაანია: მოსწავლეთა შედეგების საფუძველზე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების შეფასება. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, შეაგროვონ გარკვეული მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინონ მოსწავლეთა საჭიროებები.

ინტერვიუს საუძველზე დადგინდა, რომ კათედრებს აქვთ დაგეგმილი გამოიყენონ ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები მონაცემთა შეგროვებისათვის. აქვე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს ურთიერთდასწრების, თვითშეფასების, ურთიერთ შეფასების, მოსწავლეებთან საკლასო და საშინაო დავალების, კომპლექსური დავალების, შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების, ზეპირი გამოკითხვის, პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველზე, რაც იძლევა სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებისა და ესგ მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზის შესაძლებლობას. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ სკოლის მიერ 2025-2026 სასწავლო წელს ინიცირებულია სადიაგნოსტიკო ტესტები სხვადასხვა კომპეტენციების მიხედვით, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმები, მოსწავლეთა გამოკითხვა დაეხმარება მათ, მოაგროვონ მონაცემები, როგორც თითოეულ მოსწავლეზე, ასევე კათედრების ჭრილში. სათანადოდ იქნება განხორციელებული სადიაგნოსტიკო შეფასება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. მათემატიკის, ტექნოლოგიების ფიზიური აღზრდის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეთიკის საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მნიშვნელოვანია შეფასების

დაგეგმვისას სწორად იყოს შერჩეული კვლევის მეთოდები, სტრატეგიები, რათა სწორად დაისვას კითხვები, შემუშავდეს ამ კითხვებზე საპასუხო ამოცანები იმ ინფორმაციის მოსაგროვებლად, რაც დაეხმარება სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწავლის მიღწევის გაუმჯობესებაში. ამ მიმართულებით მონაცემთა შეგროვების და შემდგომში მათი ანალიზისა და სასკოლო განვითარებისათვის გამოყენების მეთოდოლოგია შემუშავების პროცესშია და სამომავლოდ წარმოდგენილი იქნება ერთობლივად შემუშავებულ მეთოდოლოგიურ დანართში. კურიკულუმში იგეგმება სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მექანიზმის გაწერა და ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდების ანკეტირების, გამოკითხვის, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფბთან დიალოგის, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვების დანერგვა სკოლაში. სკოლა გამოხატავს მზაობას გააუმჯობესოს და დანერგოს შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.3.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი, სასკოლო-სასწავლო გეგმა, სკოლის თვითშეფასების ფორმა) და ადგილზე ვიზიტით დგინდება, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ: მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, მოტივაციას, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. ასევე, სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. მასწავლებლებთან გასაუბრებითა და სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებიდან იკვეთება, თუ როგორ ხდება შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრები გეგმავენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვდეს სხვადასხვა მიმართულებას. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება.

მასწავებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, უფრო მეტად გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურობას, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს და სასკოლო კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებზე იმუშავებენ. ამავე დროს გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალიზმს, ამის დასადგენად კი პედაგოგები თვითშეფასების სხვადასხვა აქტივობის გამოყენებას გეგმავენ. პედაგოგები ცდილობენ გააუმჯობესონ ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე,**2.3.2.4. ინდიკატორი დამკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- თვითშეფასების ფორმა;
- შემუშავებილი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც გაცნობიერებული აქვთ კურიკულუმის განვითარების საჭიროება, გააზრებული და გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობა, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმის განვითარების ეტაპები, სასწავლო წლის ბოლოს მოახდინონ პროცესების რეფლექსია, აღწერონ მიღწეული შედეგები, გადასინჯონ და რევიზიის შემდეგად შეიმუშაონ რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვნად დახვეწს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს.

დირექციას აქვს მზაობა, რომ შემუშავებული მექანიზმების მიხედვით გააზრებულად და თანმიმდევრულად წარიმართოს მიმდინარე სასწავლო წელს კურიკულუმის დაგეგმვისა და დანერგვის, შემდეგ მონაცემების შეგროვება და დამუშავების მენეჯმენტი, წლის ბოლოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტების ჩამოყალიბება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

   სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაანალიზებული და გამოყენებულია კურიკულუმის რევიზიის პროცესში, რომლებიც ითვალისწინებენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, რამდენად მიზნობრივად შესრულდა კურიკულუმში გაწერილი აქტივობები და როგორ აისახა იგი მოსწავლის შედეგებზე. მიღებული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება ახალ სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავების პროცესში, ამის შედეგად სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის რევიზირებული კურიკულუმები, ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და მიგნებებს. **ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის თვითშეფასება
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 12.08.2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: